ცხოვრება სოციალურ საცხოვრისში

მიზეზები, საჭიროებები, გარემო

ქეთი სართანია

ენობრივი რედაქტორი: თემურ რეხვიაშვილი
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე
ფოტო გარეკანზე: გიორგი გოგუა
თბილისი, სოციალურად დაუცველთა კომპაქტური ჩასახლება

გამოცემულია „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“
ფინანსური მხარდაჭერით. © ყველა უფლება დაცულია.

ცხოვრება სოციალურ საცხოვრისში

მიზეზები, საჭიროებები, გარემო

კვლევის ავტორი: ქეთი სართანია

2020

სარჩევი

1. სოციოლოგიური კვლევის ძირითადი მიგნებები 5
2. წინასიტყვაობა 7
3. კვლევის მიზნები და ამოცანები 8
4. კვლევის მეთოდოლოგია 9
   4.1. შერჩევა 9
   4.2. შეზღუდვები 9
5. უსახლკარობის სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვა 10
6. უსახლკარობის გამომწვევი სტრუქტურული ფაქტორები 12
   6.1. ბუნებრივი და ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად გამოწვეული უსახლკარობა 13
   6.2. სამხედრო-შეიარაღებული დაპირისპირებით გამოწვეული უსახლკარობა (იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები) 14
   6.3. დაურეგულირებელი საბანკო-საკრედიტო პოლიტიკისა და თვალთმაქცური გარიგებების შედეგად გამოწვეული უსახლკარობა 15
   6.4. კულტურული და სოციალური ფაქტორების შედეგად გამოწვეული უსახლკარობა 16
7. კვლევის შედეგები 18
   7.1. თბილისისა და ქუთაისის სოციალური საცხოვრისები 18
   7.2 სოციალურ საცხოვრისებში მყოფი ოჯახების უსახლკარობის მიზეზები 18
   7.3 დასაქმება 20
   7.4 შემოსავლები 22
   7.5 ხარჯები 23
   7.6 სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი 24
   7.7 სოციალური საცხოვრისების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა 24
   7.8 საცხოვრისის ურბანული მდებარეობა 28
   7.9 სოციალური საცხოვრისების ინსტიტუციონალიზაცია 30
8. დასკვნა 31
გამოყენებული ლიტერატურა 32

1

სოციოლოგიური კვლევის ძირითადი მიგნებები

ა. უსახლკარობის მიზეზები

- სოციალურ საცხოვრისში ბინადარი ოჯახების გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტების უსახლკარობის მიზეზები ორ ან სამ ფაქტორს აერთიანებს. თუმცა, ყველაზე ხშირი მიზეზი ჯანმრთელობისთვის საჭირო სესხი და საბანკო დავალიანებაა: გამოკითხულთა 34.5%-სთვის (19) უსახლკარობის მიზეზს ოჯახის წევრის ავადმყოფობის გამო მაღალ პროცენტში აღებული საბანკო კრედიტის გადაუხდელობის ან კერძო მევახშესთან დადებული იპოთეკური ხელშეკრულების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო კუთვნილი უძრავი ქონების გაყიდვა წარმოადგენს.

- კვლევის ფარგლებში ჩატარებული 55 გამოკითხული პირიდან, 94.5% ქალია. ქალების მაღალი რეპრეზენტაცია ნიშანდობლივია და ეხმიანება ქონების ტრადიციული წესით გადაცემისა და ოჯახური ძალადობის შედეგად, საცხოვრისის დაკარგვის ფაქტებს;

ბ. საცხოვრისის ბინადართა ეკონომიკური მდგომარეობა

- სოციალური საცხოვრისის ბინადრებისთვის დასაქმება სერიოზული პრობლემაა. გამოკითხულ რესპოდენტთა 85.4% (47) თავს უმუშევრად მიიჩნევს. რესპონდენტთა 30.9% (17) ისეთ პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას ფლობს, რომელიც თანამედროვე ეკონომიკურ ფორმაციაში გამოუსადეგარია; რესპონდენტების 43.6% (24) ვერ იმუშავებს განსაკუთრებული საჭიროებებისა თუ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო; გამოკითხულთა 10.9% (6) – 50 წელს გადაცილებული რესპონდენტი – ამბობს, რომ ისინი ასაკის გამო ვერ შოულობენ სამსახურს; გამოკითხულთა 16.3% (9) ვერ იწყებს მუშაობას შვილების აღზრდისა და მათთან დამტოვებლის არყოლის გამო.

- კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა ნაწილისათვის, მათი ოჯახის მთლიანი ყოველთვიური შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია.

- გამოკითხულთა 74%-ს (42) აქვს ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, მაღაზიის ან აფთიაქის ვალი.

- მაღალი კომუნალური გადასახადების გამო, რესპონდენტების ნაწილი ზამთარში გასათბობად მხოლოდ თბილი ტანსაცმლის გამოიყენებას ამჯობინებს.

გ. ჯანმრთელობა და შეზღუდული შესაძლებლობები

- გამოკითხულთა 30.9%-ის (17) ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ერთი პირი მაინც არის. თუმცა, გამოკითხულთა 38.1% (21) ამბობს, რომ მათ ოჯახშიც არიან განსაკუთრებული ფიზიკური საჭიროების/შეზღუდვის ან ფსიქიკური საჭიროების მქონე პირები, სტატუსის გარეშე;

- გამოკითხულ რესპოდენტთა 78.2% (43), სოციალურად დაუცველის სტატუსთან ერთად, ჯანმრთელობის ან სოციალური მოწყვლადობის სხვა სტატუსითაც სარგებლობს.

დ. სოციალურ საცხოვრისში არსებული პირობები

- გამოკითხულთა 85.4% (47) თვლის, რომ მათ საცხოვრისში განუწყვეტელი ხმაურია, რაც მძიმედ მოქმედებს მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზე;

- ორხევის სოციალურ საცხოვრისში, რომელშიც ერთ ოჯახზე 38 კვადრატული მეტრია გამოყოფილი, სამზარეულო, საძინებელი, მისაღები და ბავშვების სამეცადინო სივრცე გაერთიანებულია;

- ქუთაისის სოციალური საცხოვრისის შენობა ყოფილი კავშირგაბმულობის დაწესებულებაა და საცხოვრებლად გამოუსადეგარია;

- თბილისის სოციალურ საცხოვრისში, ეტლით მოსარგებლეთა სპეციალური ლიფტი ხშირად გაფუჭებულია და შშმ პირებს ოჯახის წევრთა დახმარებით უწევთ გადაადგილება;

- შენობების ინფრასტრუქტურის სუბიექტური შეფასებისას, რესპონდენტთა 80% (44) მიიჩნევს, რომ მათი საცხოვრებელი არ არის უსაფრთხო; გამოკითხულთა 49% (27) კი საკუთარ ბინას საშიშ, დაბინძურებულ და ხმაურიან ადგილად მოიხსენიებს.

- გამოკითხულთა 85%-სთვის ბაზარი, ბანკი, საავადმყოფო, სარეკრეაციო სივრცე ხელმიუწვდომელია;

- გამოკითხულთა 47.2%-სთვის (26) ტრანსპორტის გაჩერება, სიშორისა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მიუწვდომელია.

2

ᲑᲘᲜᲐᲡᲘᲗᲧᲕᲐᲝᲑᲐ

საქართველოს რესპუბლიკამ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ერთ-ერთი პირველი რეფორმა ბინების მასშტაბურ პრივატიზაციას მიუძღვნა. პრივატიზაციის შედეგად გაჩნდა ბინის მესაკუთრეთა კლასი[1], თუმცა ეკონომიკური კურსისა და სახელმწიფო ფორმაციის რადიკალურ ცვლილებებს შესაბამისი ინსტიტუციური რეფორმებისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნა არ მოჰყოლია. ახალ სისტემაში ბინის მოვლისა თუ საცხოვრებლით უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა მთლიანად ინდივიდს დაეკისრა. შედეგად, საბინაო სისტემამ ძაფრი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ისედაც გართულებულ საბინაო პრობლემას თან დაერთო ტერიტორიული კონფლიქტები, სტიქიური უბედურებები, უმუშევრობის მაღალი სტატისტიკა და ეკონომიკის კურსის ცენტრალური პრიორიტეტის – საბანკო-ფინანსური სფეროს ფართომასშტაბიანი დერეგულაცია. ამ და სხვა სოციალური გარდაქმნების შედეგად, ათასობით მოქალაქე უბინაოდ დარჩა, ხოლო ბინის მესაკუთრეთა ნაწილმა, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამო, ვერ მოახერხა ცხოვრების პირობების სათანადოდ გაუმჯობესება. უსახლკარო პირებისა და ოჯახების ნაწილმა, გარკვეული პერიოდი, ნათესაური ქსელის ან თვითგადარჩენის სხვა მეთოდების მეშვეობით მოახერხა თავის გატანა, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან სოციალური სისტემის გამართვის საჭიროების უგულებელყოფამ პრობლემა კიდევ უფრო გააღრმავა.

საქართველოს მთავრობამ, ერთ-ერთი სამოქმედო გეგმით[2], აიღო ვალდებულება, რომ 2020 წლის დეკემბრისათვის ქვეყანას საცხოვრისის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტი ექნებოდა. თუმცა, სამუშაო ჯგუფს ამ დრომდე არ შეუმუშავებია სტრატეგიის დოკუმენტის პირველადი პროექტი. ამ დროს, უსახლკარობის მასშტაბი თანდათან იზრდება, პრობლემის მოგვარება კი, თავად სახელმწიფო უწყებების აღქმაშიც, არა ქმედითი და ეფექტური ინსტიტუციური სისტემის შექმნის მეშვეობით, არამედ ქველმოქმედების ფარგლებში მოიაზრება. უსახლკარო პირის ცნების მკაფიო სამართლებრივი განმარტების, ზუსტი სტატისტიკური მონაცემების, სათანადო სახელმწიფო სერვისებისა და უსახლკარობის პრევენციის სისტემის არარსებობის გამო, პრობლემის გრძელვადიანი და მდგრადი გადაჭრის პერსპექტივა დღესაც სახელმწიფოს პრიორიტეტებს მიღმა დგას.

1 პრივატიზაციის რეფორმა ყველას არ შეხებია, რადგან, 1990 წლის 1-ლი იანვრის მონაცემებით, საქართველოს ქალაქებსა და საქალაქო დასახლებებში საბინაო პირობების გაუმჯობესების აღიცხვაზე მცხოვრები ოჯახებისა და მარტოხელების რაოდენობა შეადგენდა 129 000-ს (16.3%). საბინაო პოლიტიკა საქართველოში; ასაბაშვილი, ზაზანაშვილი, ნიკოლაიშვილი, 2018.

3 ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა; იუსტიციის სამინისტრო; ვალდებულება 14. გვერდი 28.: https://bit.ly/3f29K90

3

კვლევის მიზნები და ამოცანები

წინამდებარე კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენს მოქმედი მუნიციპალური საცხოვრისის სოციალური არქიტექტურა და საცხოვრებელი პირობები. კვლევის შესწავლის საგანია საცხოვრისების ფუნქციური დატვირთვა და მასში მცხოვრებთა თვალით დანახული ფიზიკური გარემო. ამასთან, გარკვევა იმისა, თუ რომელია საცხოვრისში მაცხოვრებელი ოჯახების უსახლკარობის ზოგადი (სტრუქტურულ) ფაქტორები.

კვლევის მიზანია თბილისის და ქუთაისის სოციალურ საცხოვრისებში არსებული საყოფაცხოვრებო პირობებისა და იქ მაცხოვრებელი ოჯახების სოციალური მდგომარეობის შესწავლა. მუნიციპალური საცხოვრისის პირობების აღწერასთან ერთად, ტექსტის საბოლოო მიზანს ერთიანი საბინაო პოლიტიკის შესახებ დისკუსიის ხელის შეწყობა წარმოადგენს.

კვლევას ორი ძირითადი ამოცანა აქვს: (1) სახელმწიფო (მუნიციპალურ) სოციალურ საცხოვრისებში მაცხოვრებელი ადამიანების/ოჯახების გამოკითხვა წინასწარ მომზადებული სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით, რათა დადგინდეს სოციალური საცხოვრისის პირობები, მასში მცხოვრებთა გამოცდილებისა და თვალთხედვის საფუძველზე, და (2) არსებული კვლევებისა და ანგარიშების გამოყენებით, კვლევის პროცესში მიღებული მონაცემების დაკავშირება საქართველოში უსახლკარობის პოლიტიკასა და უსახლკარობის ზოგად სრუქტურულ ფაქტორებთან.

4

კვლევის მეთოდოლოგია

მოცემული ანგარიში წარმოადგენს თვისებრივი კვლევის კონტენტ ანალიზის მეთოდისა და რაოდენობრივი კვლევის მონაცემების სინთეზს. კვლევაში, გამოყენებულია საჯარო ინფორმაცია და საექსპერტო ინტერვიუები.

ამოცანები განხორციელდა თვისებრივი კვლევის სამი ინსტრუმენტით:

I. კონტენტ-ანალიზის მეთოდით მოწესრიგდა არსებული ინფორმაცია და ცოდნა საბინაო პოლიტიკის, სოციალური საცხოვრისისა და უსახლკარობის პრობლემის შესახებ. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, არსებულ კვლევებსა და ანგარიშებზე დაყრდნობით, მეთოდი აჩვენებს სხვადასხვა პოლიტიკური მმართველობის დროს გამოკვეთილ უსახლკარობის ზოგად სტრუქტურულ ფაქტორებს და მათ კავშირს ამჟამად სოციალურ საცხოვრისში მცხოვრებთა უსახლკარობის მიზეზებთან.

II. სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით მოხდა საცხოვრისებში მყოფი ადამიანების/ ოჯახების გამოცდილების შესახებ ორგანიზებული ინფორმაციის მოპოვება.

III. ექსპერტების გამოკითხვის მეშვეობით, შეგროვდა საკვლევი საკითხის შესახებ ფართო ისტორიული, სამართლებრივი თუ სოციალური კონტექსტის შესახებ რელევანტური ინფორმაცია.

კვლევა ჩატარდა 2020 წლის თებევლიდან 2020 წლის აგვისტოს ჩათვლით, ხოლო საველე სამუშაოები მიმდინარეობდა თებერვალსა და მაის-ივლისის პერიოდში, ქალაქ თბილისისა და ქალაქ ქუთაისის სოციალურ საცხოვრისებში.

საჯარო ინფორმაციის თანახმად, თბილისისა და ქუთაისის სოციალურ საცხოვრისებში კვლევის მიმდინარეობისას 151 ოჯახი ცხოვრობდა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 55-მა ადამიანმა (ყოველმა მესამე ოჯახმა): 25-მა – თბილისის, ხოლო 30-მა რესპონდენტმა – ქუთაისის სოციალური საცხოვრისიდან.

4.1 შერჩევა

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების შერჩევა მოხდა შემდეგი ძირითადი კრიტერიუმის გათვალისწინებით: კვლევას მაქსიმალურად უნდა მოეცვა ყველა სოციალური სტატუსის მქონე პირი: მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ პირები, ფსიქიკური ჯანმრთლობის პრობლემის მქონე პირები, მარტოხელები, პენსიონერები, დასაქმებული რესპონდენტები.

4.2 შეზღუდვები

წინამდებარე კვლევას თავისი შეზღუდვები გააჩნია. კვლევა არ მოიცავს ისეთ დოკუმენტირებულ მონაცემებს, როგორიც არის გამოკითხულთა ოფიციალური, დადასასტურებული შემოსავლები ან მათ მიერ საკუთრების ფლობის შესახებ ინფორმაცია.

5

უსახლკარობის სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვა

კანონმდებლობით, საქართველოში უსახლკარობის პოლიტიკის წარმოებაზე პასუხიმგებელი ცენტრალური უწყება ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროა. მიუხედავად ამისა, უსახლკარობის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების კუთხით ძირითად ფუნქციები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ეკისრებათ[3]. ეს მთელ რიგ პრობლემებს წარმოშობს: სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში (2015;13) ნათქვამია, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობა, მიუხედავად კანონით განსაზღვრული ვალდებულებისა, არ აღრიცხავს უსახლკარო პირებს და არ აწარმოებს შესაბამის რეესტრებს, რაც მოქალაქეებს ართმევს შესაბამისი სერვისის მიღების შანსს. ამას გარდა, ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის არარსებობის პირობებში, გამოწვევას წარმოადგენს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში უსახლკარობის სერვისების არაერთგვაროვნება და განსხვავებული ხასიათი. სერვისი, რომელიც ხელმისაწვდომია ერთ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკარო პირისათვის, სხვა მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომი არ არის.

არასრულყოფილი და პრობლემურია კანონმდებლობით გათვალისწინებული „უსახლკარო პირის" დეფინიცია[4]. ის ვიწროა და ვერ ფარავს ყველა შესაძლო უსახლკარო ჯგუფს, რომელსაც შესაბამისი სერვისი ესაჭიროება. ამდენად, ამ დეფინიციით პრაქტიკაში სარგებლობა, დამატებით სირთულეებთანაა დაკავშირებული. აღნიშნული პრობლემის გამო, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტი „უსახლკარო პირის" მისეულ განმარტებას იყენებს და საკუთარი ინტერპრეტაციით განსაზღვრავს, ვის მიანიჭოს სტატუსი. ცენტრალურ დონეზე უსახლკარობის პოლიტიკის წამყვანი უწყების პასიურობა აისახება უსახლკარობის წინააღმდეგ პოლიტიკის პროგრამების დასაგეგმად მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილ არასაკმარის საბიუჯეტო რესურსებზეც. მწირი ბიუჯეტი და რესურსების ნაკლებობა კი სტატუსის მქონე პირთათვის საცხოვრისით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მიზეზი ხდება.

უსახლკარობის სახელმწიფო პოლიტიკის პრობლემაა, ასევე, უსახლკარობასთან ბრძოლის რეაგირებითი და პრევენციული სერვისების არარსებობა. უსახლკარობის არსებული

3 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16, ნაწილი 2, ქვეპუნქტი «ფ»

4 უსახლკარო პირის განმარტება სოციალური დახმარების შესახებ კანონშია მოცემული (2006). დეფინიციის თანახმად, უსახლკარო პირი განიმარტება, როგორც"მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო". განმარტება პრობლემურია მისი ბუნდოვანი და ძალიან ზოგადი შინაარსის გამო. ის არ ითვალისწინებს უსახლკარობის სხვა ფორმებს მაგალითად, ნგრევად შენობებში მუდმივად მაცხოვრებელ ან ნათესავებთან და მეგობრებთან მცხოვრებ უსახლკარო პირებსა და ოჯახებს. არაღიარება, უმოქმედობა და რეპრესია საცხოვრებლის სანაცვლოდ; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი; 2014,

პროგრამები[5] ვერ ქმნის სახელმწიფოს თანმიმდევრულ და სისტემურ პოლიტიკას უსახლკარობის პრობლემასთან საბრძოლველად, რადგან, თავისი ბუნებით, ისინი დროებით სერვისებს წარმოადგენს, უსახლკარობის დაძლევის გრძელვადიანი ხედვა და მიზნები მათ არ გააჩნია. უსახლკარობის მიმდინარე პროგრამებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საცხოვრისის პოლიტიკა სახელმწიფოს მიერ მხოლოდ ჭერით დაკმაყოფილებით არის შემოფარგლული და არ მოიაზრებს რეალურ პროგრამებს უსახლკარო პირთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ასეთი პროგრამების გარეშე საცხოვრისის არსებული პოლიტიკა არაეფექტური და ფორმალურია, ის ოჯახებიც კი, ვინც სარგებლობს ამ სერვისებით, უსახლკარობის პრობლემის გადაჭრას მხოლოდ დროებით ახერხებენ.

წინამდებარე კვლევა აჩვენებს, რომ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკისა და უსახლკარო პირთა შესახებ მონაცემების არარსებობის პირობებში, არსებული პოლიტიკის მიღმა რჩებიან საცხოვრისის რეალური საჭიროების მქონე ადამიანები. მომდევნო თავებში ჩვენ უშუალოდ სოციალური საცხოვრისების მაგალითზე განვიხილავთ არსებული სახელმწიფო პოლიტიკის ამ ნაკლოვანებებს.

5 სახელწმიფო უსახლკარობას სამი ძირითადი პროგრამით პასუხობს: დროებითი სახელმწიფო ქირა, თავშესაფარი და სოციალური საცხოვრისი.

6

უსახლკარობის გამომწვევი სტრუქტურული ფაქტორები

უსახლკარო პირის ცნება მისი კომპლექსური ხასიათის გამო, ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ჭერის არმქონე ადამიანთა დახასიათებით. საცხოვრისი, მისი ფიზიკური განზომილების გარდა, მოიაზრებს სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და, მათ შორის, ფსიქოლოგიურ განზომილებებსაც. მისი დაკარგვით, ნების გარეშე სახლის დატოვებით, ადამიანი ერთდროულად კარგავს მთელ მიკროსამყაროს და, როგორც წესი, ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის გაუარესების პრობლემის წინაშე დგება.

თეორიულ ნაშრომებსა და სოციოლოგიურ ანგარიშებში, სიღარიბე და უმუშევრობა უსახლკარობის გამომწვევ ყველაზე ხშირ მიზეზებს შორისაა დასახელებული. ორივე მათგანი, თავის მხრივ, სახელწმიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების ხარვეზების შედეგია. საქართველოს შემთხვევაში, უსახლკარობის ხელშემწყობი სტრუქტურული ფაქტორების ნაწილი საჯარო მსჯელობებში უგულებელყოფილია. უსახლკარობის პრობლემის ფრაგმენტული ხედვა, შესაბამისი კვლევის, შეფასებისა და საჯარო მსჯელობის გარეშე, ხელს უშლის პრობლემის საფუძვლის, მასშტაბისა და ადამიანთა რეალური საჭიროებების გათვალისიწინებას პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

მოცემული თავში შევეცადეთ აღგვეწერა ყველა ის სტრუქტურული ფაქტორი, რომლებიც ხელს უწყობს უსახლკარობას საქართველოში. სხვადასხვა კვლევებისა და ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ოთხი ძირითადი სრუქტურული ფაქტორი: ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად გამოწვეული უსახლკარობა, სამხედრო-შეიარაღებული დაპირისპირებით გამოწვეული უსახლკარობა (იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები), დაურეგულირებელი საბანკო, ფულად-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკის შედეგად გამოწვეული უსახლკარობა, კულტურული და სოციალური ფაქტორების გავლენით – მათ შორის, კერძო საკუთრების ფლობა-განკარგვის შესახებ სამართლებრივი ინფორმაციის არქონის შედეგად – გამოწვეული უსახლკარობა.

ჩამოთვლილთაგან, სახელმწიფო მხოლოდ ორ – ეკოლოგიური კატასტროფებისა და სამხედრო-შეიარაღებული დაპირისპირებით გამოწვეულ უსახლკარობას აღიარებს და მათ კონკრეტული სახელმწიფო პროგრამებით პასუხობს, ხოლო დანარჩენი ფაქტორების შედეგად დაზარალებული ჯგუფები პოლიტიკისა და შესაბამისი პროგრამების მიღმა რჩებიან.

6.1. ბუნებრივი და ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად გამოწვეული უსახლკარობა

ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად გამოწვეული უსახლკარობის მაგალითები საქართველოს უახლეს ისტორიაში მრავლადაა. 1991 წლის 29 აპრილს, რაჭაში, ძლიერი, 6.9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრის შედეგად, 46 000 საცხოვრებელი, 1000-ზე მეტი ადმინისტრაციული შენობა დაზიანდა და 100 000-მდე ადამიანი უსახლკაროდ დარჩა[6]. მეტეოროლოგიურმა მდგომარეობამ 2005 წლის გაზაფხულზე აჭარის, სვანეთის, იმერეთის, რაჭის, შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონები მძიმედ დააზარალა[7].

ბოლო დროს, ეკოლოგიური კატასტროფით გამოწვეული უსახლკარობის რისკები საქართველოში ჰესების მშენებლობასა და მათი მშენებლობის მიმართ მოქალაქეთა წინააღმდეგობას უკავშირდება. პროტესტის ერთ-ერთი გამოწვევი მიზეზი, სწორედ, უსახლკაროდ დარჩენის ან ეკოლოგიური მიგრაციის შიშია, რადგან ჰესები მათ სასოფლო-სამეურნეო სარწყავ და სასმელ წყალს საფრთხეს უქმნის. 2017-2020 წლებში ასეთი საპროტესტო გამოსვლები აქტიურად მიმდინარეობს საქართველოს რამდენიმე მხარეში: აჭარაში, პანკისში, წყალტუბოსა და ცაგერის მუმიციპალიტეტებში. 2017 წელს აჭარაში გახსნილი „შუახევ ჰესის" გვირაბი იმავე წელს რამდენიმე ადგილას ჩამოინგრა, ადგილობრივ სოფლის მოსახლეობას კი სარწყავი, სასმელი წყლისა და საფრთხისშემცველი საცხოვრებელი გარემოს პრობლემები შეექმნა. მდინარე ალაზანზე მესამე ჰესის მშენებლობის წინააღმდეგი იყო პანკისის მოსახლეობა 2018 წელს. მიზეზად სასმელი და სარწყავი წყლის დაბინძურება და მისი შემცირება სახელდებოდა[8]. მდინარე რიონზე, ნამოხვან ჰესის მშენებლობას 2020 წლის შემოდგომაზეც აპროტესტებდნენ. ხეობა მევენახეობა-მეფუტკრეობით ირჩენს თავს. ადგილობრივების თქმით, ჰესის მშენებლობით გამოწვეული გარემოს ცვლილება მათი შემოსავლის წყაროზეც იქონიებს გავლენას და, საბოლოოდ, მაცხოვრებლებს ხეობის დატოვება მოუწევთ[9].

ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილთა განსახლების საკითხი დიდი ხნის განმავლობაში არ გამხდარა სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანა. მხოლოდ 2006 წლის მარტში დაიწყო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ოჯახების მონაცემთა ბაზის შექმნას[10] და ეკომიგრანტი შინამეურნეობებისთვის საცხოვრებლების შეძენას. ეკომიგრანტთა განსახლების პროცესს დევნილთა სამინისტრო ხელმძღვანელობდა[11], თუმცა, სამინისტროს ზოგიერთ წლებში (2010; 2011; 2012) საერთოდ არ ჰქონია ბიუჯეტი ეკომიგრანტთა საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად[12]. 2019-2020 წლებში

6 Largest earthquakes on the territory of Georgia; IISEE – international institute of seismology and earthquake engineering; https://bit.ly/2F4TMxl

7 სტიქიის შემოტევა მცხეთა-მთიანეთის მხარეში; 2005; https://bit.ly/3jELYRW

8 რატომ აპროტესტებენ პანკისის ხეობაში მესამე ჰესის მშენებლობას; 2018; https://bit.ly/2LGohgh

9 „ყველაფერს ერთად დავკარგავთ" – რატომ ეწინააღმდეგებიან რიონზე ჰესების მშენებლობას ცაგერში?; 2018; https://netgazeti.ge/news/296662/

10 ეკომიგრანტების განსახლება საქართველოში:განსახლების პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები, ტენდენციები, განხორციელება და აღქმები; გვ.7; https://bit.ly/36C1SJl

11 „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის #34 დადგენილება, რომლის მიხედვითაც სამინისტროს კომპეტენციას მიეკუთვნა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული გადაადგილებას დაქვემდებარებული პირების სოციალური და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა. 2018 წლიდან სამინისტრო გაუქმდა და ის ახლა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შედის.

12 იქვე, გვ.10.

ჩამოყალიბდა დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო,[13] რომლის ოფიციალური მიზანია[14] დევნილთა და ეკომიგრანტთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და მათთვის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა, მათ შორის, საარსებო წყაროების, შემოსავლების გაძლიერებისთვის დამხმარე პროგრამების შექმნის გზით. ამგვარად, განსახლების საჭიროებასთან ერთად, სახელწმიფომ აღიარა ამ ჯგუფისთვის ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების შექმნის აუცილებლობა.

6.2. სამხედრო-შეიარაღებული დაპირისპირებით გამოწვეული უსახლკაროობა (იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები)

1992-1993 წლებში ქვეყანაში სამოქალაქო ომი და ტერიტორიული კონფლიქტი დაიწყო. შედეგად, 247 000 იძულებით გადაადგილებული პირი (დევნილი) უსახლკაროდ დარჩა[15]. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, დევნილების რაოდენობა კიდევ 10 000 ადამიანით გაიზარდა. ომის პირველ წლებში დევნილების ნაწილი ნათესავებთან დაბინავდა, ნაწილი კი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ შენობებში გადანაწილდა. ოფიციალური პოლიტიკა დევნილთა დაბრუნებაზე იყო ორიენტირებული და ამიტომ განსახლების პროგრამის ან დევნილთა საერთო საცხოვრებლის (კომპაქტური დასახლებების) დაკანონების (პრივატიზაციის) საჭიროება 2005 წლამდე[16] არ განიხილებოდა. სახელმწიფომ მხოლოდ 2007 წელს, ომის დასრულებიდან 14 წლის შემდეგ შექმნა დევნილთა მიმართ ერთიანი სტრატეგია, რომლის მთავარი ამოცანები დევნილთა განსახლება და მათი ღირსეული ცხოვრებაა. მოგვიანებით, ამავე სტრატეგიის ნაწილი გახდა ეკოლოგიური კატასტროფის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილთა, ეკომიგრანტთა მიმართ პოლიტიკაც.

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესს ხარვეზები და სახელმწიფო კორუფციული პროცესები მუდმივად თან სდევდა[17]. დევნილთა და ეკომიგრანტთა განსახლების არსებული პროგრამა ვერ ეწევა ბენეფიციართა საჭიროების ტემპს. მიუხედავად ამ ხარვეზებისა და განსახლების პროცესში არსებული პრობლემებისა, სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე იღებს დევნილთა და ეკომიგრანტთა გრძელვადიანად განსახლების ვალდებულებას, მაგრამ ვერ ხედავს კონკრეტული პოლიტიკური რეფორმებისა თუ დერეგულირებული ეკონომიკური სისტემის გავლენით დაზარალებულ და უსახლკაროდ დარჩენილ პირებს. ასეთი მიდგომა სოციალური ჯგუფების რესურსებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობისა და ზოგადი უთანასწორობის საკითხს ამწვავებს.

13 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-109/ნ 2019 წლის 31 ოქტომბერი; https://bit.ly/3iCP4oc

14 დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო; https://idp.gov.ge/livelihood/

15 იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია; 2007; https://bit.ly/33AmwaR

16 Study on Privatization of IDP Collective Centers in Georgia; Anna V. Dolidze; manana tatishvili; Lali Chkhetia; 2005

17 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; 2013 და 2014 წლის ანგარიშები; https://bit.ly/37lwXRe

6.3. დაურეგულირებელი საბანკო-საკრედიტო პოლიტიკისა და თვალთმაქცური გარიგებების შედეგად გამოწვეული უსახლკარობა

გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას საბჭოთა ინსტიტუტების საბაზრო ეკონომიკის სუბიექტებად გარდაქმნა უნდა მოჰყოლოდა. ეს პროცესი ტრანფორმაციისთვის აუცილებელი თანმიმდევრული პოლიტიკის გარეშე წარიმართა. ასეთ მოვლენას „რეფოლუციის" სახელით მოიხსენიებენ (refolution, Ash 1989), რაც რევოლუციისა და რეფორმის სინთეზს გულისხმობს[18]. 2003 წლის „რევოლუციის" შემდეგ დაწყებული რეფორმები ფინანსურ და საბანკო სექტორსაც შეეხო. 2005-2006 წლის საფინანსო სფეროში განხორციელებულ სწრაფ ცვლილებებს მკვლევრები საბანკო და „საკრედიტო ბუმს" უწოდებენ. რეფორმების ოფიციალურ მიზანს საქართველოს მოქალაქეთათვის საბანკო სესხსა და კრედიტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა წარმოადგენდა. საბანკო, საკრედიტო და ფინანსური ცვლილებების საფუძველს 1992 წლის ბინის პრივატიზების ტალღის შედეგად გაჩენილი ბინათმესაკუთრეთა კლასი ქმნიდა. არასტაბილურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოში – დაბალი შემოსავლებისა და მაღალი უმუშევრობის პირობებში – კერძო საკუთრება სტაბილურობის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. სწორედ ამ მიზეზით, კერძო საკუთრების უზრუნველყოფის პირობით, საბანკო სესხის გაცემა კრედიტის გამცემი დაწესებულებისთვის მსესხებელთა გადახდისუუნარობის რისკის დაზღვევის საშუალებას წარმოადგენდა. ასეთ პირობებში, მოთხოვნილი სესხი და საკუთრების იპოთეკით დატვირთვა სესხის უზრუნველსაყოფად, ადამიანებს პირველადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სჭირდებოდათ. 2014 წელს თბილისში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გაზრდილი სესხების სოციალურ შინაარსს ოჯახის წევრის მკურნალობისთვის (30%) ან მისი ციხიდან დახსნისთვის (40%) (საპროცესო გარიგებისთვის) საჭირო თანხა შეადგენდა (ერაძე; 2020;17).

მოქალაქეთა შემოსავლებისა და კრედიტის არათანაბარი მიმართება, სესხის კერძო საკუთრებით უზრუნველყოფა, სოციალურ და ჯანდაცვის მომსახურების მისაღებად სამომხმარებლო სესხების სწრაფი ზრდა, მოქალაქეთა გადახდისუნარიანობის გაუთვალიწინებლობა და სფეროს დაურეგულირებლობა ქმნიდა პირობებს, რომლებშიც კრედიტზე ხელმისაწვდომობა კი იზრდებოდა, მაგრამ კერძო საკუთრებით უზრუნველყოფის პირობით, რაც ისევ მოქალაქეებს აყენებდა ერთადერთი საცხოვრისის დაკარგვისა და უსახლკარობის რისკის წინაშე[19]. ამგვარ პრაქტიკას მკვლევრები „მტაცებლური დაკრედიტების" სახელით მოიხსენიებენ (ერაძე, 2020).

საცხოვრისის დაკარგვის საშიშროებას საბაზრო ურთიერთობების არსზე მომხმარებელთა მცდარი წარმოდგენებიც უწყობდა ხელს. საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, კერძო საკუთრება და მასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული პროცედურები არ წარმოადგენდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხს[20]. დამოუკიდებელ საქართველოში, როცა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში უძრავი ქონება სამოქალაქო ბრუნვის და ზოგადად ბიზნეს საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სეგმენტი გახდა და საკუთრების უფლების უზრუნველყოფის მექანიზმებმა განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა შეიძინა[21], სახელმწიფომ და ფინანსურმა ინსტიტუტებმა ვერ უზრუნველყვეს მოქალაქეებისთვის საკუთრების დაცვის მექანიზმებზე სათანადო ინფორმაციის მიწოდება. შედეგად, არაერთი ადამიანი, სამოქალაქო გარიგების პროცესში დაშვებული შეცდომისა თუ გარიგების შედეგზე არასწორი წარმოდგენის გამო,

18 ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე; თამარ ბურდული, 2015; https://bit.ly/2F548xd

19 ერაძე, 2020

20 უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პრობლემატიკა გარდამავალ პერიოდში, ისტორიული გენეზისი; რევაზ მიქაბერიძე, 2015. https://bit.ly/3h09zwd

21 იქვე, გვ.1.

ერთადერთი საცხოვრისის გარეშე დარჩა. პრობლემის საპასუხოდ, ეროვნულმა ბანკმა 2011 წელს მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების საერთო სტანდარტი დაადგინა და კომერციული ბანკები დაავალდებულა მსესხებლისთვის სესხის შესახებ საჭირო ინფორმაცია გაეცნოთ. თუმცა, ამან, ერთი მხრივ, ვერ დააზღვია არასაბანკო ურთიერთობებისას გავრცელებული თვალთმაქცური გარიგებების პრაქტიკა, მეორე მხრივ, შესაბამისი სოციალური პროგრამების შეთავაზებისა და კეთილდღეობის სისტემის გამართვის გარეშე შემოღებულმა მსუბუქმა რეგულაციებმა, ვერ აღმოფხვრა სესხის საჭიროება და მხოლოდ გაართულა საბანკო-საფინანსო ინსტიტუტებიდან მისი მიღების შესაძლებლობები.

სწორედ საბანკო-საფინანსო ინსტიტუტებიდან სესხის მიღების შეუძლებლობას დაუკავშირდა „მტაცებლური დაკრედიტების" კიდევ ერთი წყარო – კერძო მევახშეობა. კერძო მევახშეობა კერძო გამსესხებლის საქმიანობაა, რომელიც ფულის დიდი სარგებლის მიღების მიზნით გასესხებას ნიშნავს[22]. იმ ქვეყნებში, სადაც მევახშეობა აკრძალულია, ის განიმარტება, როგორც პირის მიერ, მძიმე მდგომარეობის, გამოუცდელობისა და სხვა მიზეზთა გამოყენებით, ისეთი დაპირების გაცემა, რომელიც არაპროპორციულია აღებული ვალდებულების ღირებულებასთან შედარებით (ჭუბაბრია; 2020)[23]. რეგულაციებისგან თავისუფალი კერძო მევახშეების დაკრედიტების სისტემა უმეტესად ისეთი ოჯახებისა და პირებისთვის ფუნქციონირებდა, ვინც ვერ ახერხებდა კომერციულ ბანკში სტაბილური შემოსავლის დადასტურებას და, შესაბამისად, სესხის აღებას. სწორედ ასეთი ოჯახების ისტორიები აჩვენებს შექმნილი საბანკო და ფინანსური ბაზრის უსამართლობას, რომლის შედეგებიც საკუთარ თავზე იწვნიეს წინამდებარე კვლევის რესპონდენტებმა.

6.4. კულტურული და სოციალური ფაქტორების შედეგად გამოწვეული უსახლკარობა

კულტურაში არსებული რწმენა-წარმოდგენები, ტაბუირებული თემები თუ სოციალური სტიგმები დიდწილად განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს და შეიძლება უსახლკარობის გამომწვევ მიზეზებად იქცეს.

საქართველოს შემთხვევაში, უსახლკარობის შედარებით უხილავ ფორმას წარმოადგენს კულტურაში არსებული და ტრადიციასთან დაკავშირებული ისეთი წეს-ჩვეულებები, როგორიც არის ოჯახის მამრობითი სქესის წარმომადგენლისთვის მემკვიდროებით ქონების პრიორიტეტული გადაცემა, რადგან ის ოჯახის გვარის გამგრძელებლად ითვლება[24]. კერძო საკუთრების გადანაწილების შესახებ ამგვარი წარმოდგენები ოჯახის წევრ ქალებს უსახლკარობის რისკის წინაშე აყენებს. საკუთრებისა თუ სხვა სოციალური გარანტიების არარსებობის გამო, ქალები, ხშირად, ქუჩაში რჩებიან ან საცხოვრისის სანაცვლოდ ძალადობის მოთმენა უწევთ. ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის და უსახლკარო ბავშვებისთვის არსებული სახელმწიფო თავშესაფარი, დროებითი სერვისია, რომლის ვადის ამოწურვის შემდეგ ქალების მომავალი გაურკვეველია. სახელმწიფო პოლიტიკა, თავშესაფრის დატოვების შემდეგ, მათთვის საჭირო პროგრამის შეთავაზებას არ ითვალისწინებს.

22 უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი; https://bit.ly/3jCGDe7

23 მოსახლეობა მევახშეობის პირისპირ, თათული ჭუბაბრია; 2020; https://bit.ly/33yMBXG

24 2019 წლის კავკასიის ბარომეტრის გამოკითხვაში, „ვინ უნდა მიიღოს ბინა მემკვიდრეობით?" 45% (გამოკითხულთა თითქმის ნახევარი) პასუხობს, რომ ბინა მემკვიდრეობით ბიჭს უნდა დარჩეს. როდესაც ოჯახში გოგო და ბიჭი იზრდება და ოჯახს მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ბინა აქვს, როგორ ფიქრობთ, ვის საკუთრებაში უნდა გადავიდეს ეს ბინა – გოგოს თუ ბიჭის? 45% – ბიჭის მემკვდრეობაში; 2019; https://bit.ly/3nlUFCJ

ზოგიერთ სოციალურ პრობლემასთან დაკავშირებული ტაბუც უსახლკარობის გამომწვევ სტრუქტურულ ფაქტორებს შორის უნდა მოვიხსენიოთ. მაგალითად, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების პრობლემა ქართულ საზოგადოებაში ტაბუირებულია, რადგან ის ფინანსურ სირთულეებს უკავშირდება. ამასთან, ცნობილია, რომ საქართველოში, ბრუნვის მოცულობით 10 ყველაზე მაღალშემოსავლიან კომპანიას შორის 6 კაზინოა, ხოლო 2009 წელს სათამაშო ბიზნესის ბრუნვა 74,7 მილიონი ლარი იყო; 2019 წლისთვის მან 13,8 მილიარდ ლარს გადააჭარბა[25]. ეს მონაცემები მიანიშნებს აზარტული თამაშებით გამოწვეული ვალდებულებებისა და დაკარგული უძრავი ქონების ფართო მასშტაბზე. ლუდომანიით გამოწვეული ფინანსური პრობლემების ტრაგიკული ფინალი კი, როგორც წესი, უსახლკარობა ან სუიციდია.

მდგომარეობას ამწვავებს ისიც, რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების სოციალური პრობლემა პოლიტიკისა და რეგულაციის სფეროს მიღმა დგას. მოთამაშეთა ზუსტი რაოდენობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები უცნობია, ქვეყანაში არ მოქმედებს ლუდომანიით დაზარალებულთა დახმარების საკონსულტაციო ცენტრები და არც უსახლკარობიდან მათი დახსნის სახელმწიფო პროგრამები.

საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ეკონომიკური სიდუხჭირე, დასაქმების ბაზარსა და სოციალურ პროგრამებზე ხელმიუწვდომლობა მწვავედ აისახება ასევე ქვიარ ჯგუფების უსახლკარობაზე[26]. არსებული სტიგმების გამო, მათი სოციალური გარიყულობა, დასაქმებასა და უმუშევრობის პრობლემასთან ერთად, ხშირად, ოჯახიდან გარიყული ლგბტ ჯგუფების უსახლკარობას იწვევს.

ამგვარად, კულტურული და სოციალური ფაქტორებით განპირობებული უსახლკარობა ჩამოთვლილთაგან ყველაზე მარგინალურ და პოლიტიკისგან გარიყულ ჯგუფებს აზიანებს. საზოგადოებაში არსებული რწმენა-წარმოდგენები, სხვადასხვა ჯგუფისთვის, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების განმსაზღვრელი ხდება. სახლის/ბინისა და უბინაობის/უსახლკარობის დღევანდელი გაგება არაერთგვაროვანი და, ამავდროულად, მრავალგანზომილებიანია. უბინაობა სოციალურად გასაგები კატეგორია მაშინ ხდება, როდესაც ის ფართომასშტაბიან, დოკუმენტირებულ, ხილულ მოვლენას უკავშირდება, როგორიც არის ომი ან ეკოლოგიური კატასტროფა. ხოლო სოციალური პოლიტიკის არარსებობის, ხელმიუწვდომელი ჯანდაცვის, საფინანსო-საბანკო სფეროს დერეგულაციის გამო ან სხვა სოციალური ფაქტორების შედეგად გამოწვეული, უსახლკარობა, ერთი მხრივ, უხილავი რჩება, მეორე მხრივ, გაცხადების შემთხვევაშიც, საზოგადოებაში ინიდივიდუალური მარცხის, დაუდევრობის შედეგად არის აღიარებული.

უსახლკარობის გამომწვევი სტრუქტურული ფაქტორები აჩვენებს, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფერო პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენს ადამიანთა საცხოვრებელ პირობებსა და უსახლკარობაზე. ამდენად, სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ ეკონომიკურ და სოციალურ პროგრამებში, სახელმწიფო სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში, უსახლკარობის ხელშემწყობი რიგი ფაქტორების გათვალისწინების გარეშე, საცხოვრისის სახელმწიფო პოლიტიკა არაეფექტიანი და მოკლევადიან შედეგზე ორიენტირებული იქნება.

25 აზარტული ბიზნესი – ქართული ეკონომიკის პარაზიტი – ფსონად დადებული სიცოცხლე;მერაბ ჯანიაშვილი; 2020; http://regional-dialogue.com/gambling/

26 შინ დაწყებული უსახლკარობა; ლიკა ჯალაღანია; 2020; https://bit.ly/3lyEYqD

7

კვლევის შედეგები

7.1. თბილისისა და ქუთაისის სოციალური საცხოვრისები

უსახლკარო პირთა განსათავსებლად საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტში მოქმედებს სოციალური საცხოვრისი. თბილისში ასეთმა საცხოვრისმა ბინადრების პირველი ნაკადი 2017 წელს მიიღო. ქუთაისშიც, ამ მიზნით 2017 წელს გარემონტდა კავშირგაბმულობის ყოფილი შენობა. საცხოვრისებში უსახლკაროდ რეგისტრირებულ რამდენიმე ოჯახს მხოლოდ გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლია მოხვედრა. წინამდებარე კვლევამ სწორედ ამ ორ საცხოვრისში არსებული გარემო და სოციალური პირობები შეისწავლა. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სოციალური საცხოვრისის პირობები არასათანადოა და, გაუმჯობესების ნაცვლად, აუარესებს იქ მაცხოვრებელი ადამიანების ჯანმრთელობის, მათ შორის მენტალურ, მდგომარეობას, ხოლო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების დამხმარე პროგრამების არარსებობა მათ მუდმივად სახელმწიფო სერვისზე დამოკიდებულ პირებად აქცევს.

2020 წლის მარტის მონაცემების მიხედვით, ქუთაისისა და თბილისის სოციალურ საცხოვრისებში ერთად, ოფიციალურად 151 ოჯახი (507 პირი) ცხოვრობს, მათ შორის, კვლევის მიმდინარეობის პერიოდისთვის, 193 პირი არასრულწლოვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მუნიციპალიტეტმა საცხოვრისით დაკმაყოფილების ზოგად კრიტერიუმად ყველაზე მოწყვლადი ჯგუფები: შშმ პირები, მარტოხელა დედები და ბავშვიანი ოჯახები მიიჩნია, საცხოვრისების მშენებლობისა და რემონტის პროცესში არ ყოფილა გათვალისწინებული მათი ფიზიკური საჭიროებები. შესაბამისად, შენობის ინფრასტრუქტურის, უსაფრთხოებისა და საცხოვრებელი პირობები, შეუსაბამოა არაერთი ბენეფიციარის ფიზიკურ მდგომარეობასთან. ამასთან, საცხოვრისების მშენებლობისა თუ რემონტის პროცესში, არ ყოფილა გათვალისწინებული მოწყვლადი ჯგუფების ისეთი არსებითი საჭიროებები, როგორიცაა საცხოვრებლის სიახლოვე საავადმყოფოსთან, ან გადაადგილებისა და რეკრეაციული სივრცეების აუცილებლობა. საცხოვრისის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში ბენეფიციართა საჭიროებებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლობა შესწავლილი სოციალური საცხოვრისების მთავარი პრობლემაა.

7.2. სოციალურ საცხოვრისში მყოფი ოჯახების უსახლკაროობის მიზეზები

კვლევაში მონაწილე რესპოდენტების უსახლკარობის მიზეზები მრავალგვარია და, ძირითადად, პასუხობს წინამდებარე კვლევის პირველ ნაწილში მიმოხილულ უსახლკარობის სტრუქტურულ ფაქტორებს. კვლევაში მონაწილე რესპონდენტების ბინის დაკარგვის მიზეზები დაურეგულირებელ საბანკო, ფულად-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკას, კულტურული და სოციალური ფაქტორების გავლენით გამოწვეულ უსახლკარობას უკავშირდება. აღნიშნულ ფაქტორებს ქვეყნის ჯანდაცვის სუსტი პოლიტიკა, უმუშევრობის მაღალი დონე, წლების მანძილზე შეუკეთებელი ნგრევად-ავარიული შენობები და კერძო საკუთრების ტრადიციული წესით გადანაწილების

პრობლემა, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება და საცხოვრისის ფლობა-განკარგვის შესახებ ინფორმაციის არქონა უდევს საფუძვლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილე ოჯახებისა და ცალკეული ბენეფიციარების ნახევარზე მეტი, 60% (33), თავისი ცხოვრების განვლილ ეტაპზე ფლობდა კერძო საკუთრებას ან ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, და მხოლოდ 40%-ს (22) არასდროს ჰქონია პირად საკუთრებაში ბინა ან სახლი. უსახლკარობამდე, მათი ნაწილი ნათესავებთან აფარებდა თავს ან გარკვეული პერიოდი სხვადასხვა ინსტიტუციაში ცხოვრობდა, მათი დატოვების შემდეგ კი ქირით ან თვითდახმარების მიზნით იყვნენ შესახლებული სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ შენობებში.

ა. საბანკო-საფინანსო დავალიანების გამო დაკარგული სახლი

გამოკითხულთა 34.5%-სთვის (19) უსახლკარობის მიზეზს ოჯახის წევრის ავადმყოფობის გამო მაღალ პროცენტში აღებული საბანკო კრედიტის გადაუხდელობის ან კერძო მევახშესთან დადებული იპოთეკური ხელშეკრულების ვალდებულების გამო კუთვნილი უძრავი ქონების გაყიდვა წარმოადგენს.

ბ. ავარიული და ნგრევადი სახლები

რესპონდენტების 20%-სთვის (11) საცხოვრებლის დაკარგვის მიზეზი, როგორც სოფლად ისე ქალაქად, ბინების ავარიული და ნგრევადი მდგომარეობა იყო. თუ 1992 წლამდე საბინაო მომსახურება სახელმწიფოს ვალდებულება იყო, ბინების მასშტაბური პრვატიზაციის შემდეგ, სახლის მოვლა-შეკეთება, მათ შორის კაპიტალურად, კერძო მესაკუთრის ვალდებულებად იქცა. ავარიულ, სიცოცხლისთვის საშიშ გარემოში ცხოვრებამდე ადამიანები უმუშევრობით გამოწვეულმა სიღარიბემ მიიყვანა.

გ. სოციალური და კულტურული ნორმების გამო დაკარგული სახლი

გამოკითხულთა 5.4%-სთვის (3) უსახლკარობის მიზეზი ისეთი სოციალური და კულტურული ნორმებით არის გამოწვეული, როგორიც საოჯახო მეურნეობაში ქონების ტრადიციული წესით გადანაწილებაა. ქართულ კულტურაში, ტრადიციულად, ბინა მემკვიდრეობით გადადის ოჯახის მამრობით წევრზე, რადგან ის ოჯახის გვარის გამგრძელებლად, მემკვიდრედ და ქონების ნამდვილ მესაკუთრედ ითვლება. ის ქალები, რომლებსაც მემკვიდრეობით იშვიათად ერგებათ კერძო საკუთრება, დაოჯახების შემდეგ დამოკიდებულნი არიან მეუღლის საცხოვრებელზე. შესაბამისად, მეუღლის ან ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ძალადობის შემთხვევაში, უსახლკარობის მაღალ რისკ ჯგუფს წარმოადგენენ და, ხშირად, უსახლკარობისგან თავის ასარიდებლად, ძალადობის მოთმენაც უწევთ. კვლევის ფარგლებში ჩატარებული 55 გამოკითხული პირიდან, 94.5% ქალია (52), ხოლო 5.4% (3) – კაცი. ქალების მაღალი რეპრეზენტაცია ნიშანდობლივია და ეხმიანება ქონების ტრადიციული წესით გადაცემისა და ოჯახური ძალადობის მიზეზებს, რომელთა გამოც ქალები უფრო მეტად განიცდიან უსახლკარობის პრობლემას.[27]

27 კვლევისგან დამოუკიდებლად, ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ საცხოვრისის კრიტერიუმები განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს მიიჩნევს პრიორიტეტად, რომელშიც მარტოხელა დედებს ენიჭებათ უპირატესობა.

დ. ბიუროკრატიული პროცედურების არცოდნის გამო დაკარგული სახლი

ნაკლებად ხილული, თუმცა კვლევით გამოვლენილი, უსახლკარობის მნიშვნელოვანი ფაქტორია ბინის საკუთრებაში გადაფორმების პროცედურის არცოდნა ან მისი ფლობის, განკარგვის შესახებ სამართლებრივი ინფორმაციის არქონა. გამოკითხული რესპონდენტები ყვებიან, რომ მათ საკუთრებაში ჰქონდათ ბინა და გარკვეული პირობების სანაცვლოდ ნათესავს/ახლობელს „ათხოვეს", რომლებმაც შემდეგ ისე გაყიდეს ბინა, რომ მისი რეალური მფლობელი უსახლკაროდ დარჩა. ასეთი ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტები არ არსებობს, რადგან მათ არ ჰქონიათ დადასტურებული საკუთრება დაკარგულ ქონებაზე.

ე. ერთდროულად რამდენიმე ფაქტორის გამო დაკარგული სახლი

გამოკითხული რესპონდენტების შემთხვევების ანალიზი აჩვენებს, რომ, ხშირად, უსახლკარობის მიზეზები ჩამოთვლილ ორ ან სამ ფაქტორს აერთიანებს. მაგალითად, ერთ-ერთ რესპონდენტს მშობლების ბინის დატოვება მას შემდეგ მოუწია, რაც მისი ძმა დაოჯახდა და ვიწრო ბინაში შექმნილი სიმჭიდროვისა თუ ქონების გაყოფის გამო ოჯახური კონფლიქტი დაიწყო. რესპონდენტის მეუღლე აზარტულ თამაშებში იყო ჩართული, რის გამოც მათ ვალების აღება და მოგვიანებით, ბინის გაყიდვა მოუწიათ. დაოჯახების შემდეგ ის მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლიც გახდა. უბინაოდ დარჩენილი რესპონდენტი მუშაობდა და საკუთარი შრომით შეგროვებულ ყოველთვიურ შემოსავალს მეუღლესა და შვილს უნაწილებდა. რთული საყოფაცხოვრებო პირობების გამო, შვილი საპატიმრო დაწესებულებაში მოხვდა, ხოლო თავად რესპოდენტი – საბოლოოდ ქუჩაში აღმოჩნდა, რის შემდგომაც, თვითდახმარების მიზნით შესახლდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ შენობაში. ბოლოს, სოციალურ საცხოვრისში დაბინავდა.

7.3. დასაქმება

გამოკითხულ რესპოდენტთათვის დასაქმება, პირველ რიგში, შემოსავლის მიღების საშუალებაა, თუმცა ფართო გაგებით, ის ასევე მოიცავს კვალიფიკაციის განახლების ან შენარჩუნების, სოციალური სტატუსისა და ადამიანის იდენტობის ისეთ განზომილებებს, როგორიც არის სოციალური ურთიერთობები, ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა და სხვა. გამოკითხული ოჯახებიდან, მხოლოდ 10.9%-ში (6 ოჯახი) არის სტაბილურად დასაქმებული ოჯახის ერთი წევრი[28]. თუმცა, დასაქმებული ოჯახების მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ერთი წევრის სტაბილური შემოსავალი ვერ ხდება ოჯახებისთის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პირობა. ამასთან, დასაქმება, თავისთავად, დიდი გამოწვევაა და მას არა ერთი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი უშლის ხელს. გამოკითხულთა განათლებასა და პროფესიებზე მწვავედ აისახა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის 30 წლის წინანდელი რადიკალური ცვლილების შედეგები. რესპონდენტთა 30.9% (17) ისეთ პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას ფლობს[29], რომელიც თანამედროვე ეკონომიკურ ფორმაციაში გამოუსადეგარია, როგორც საბაზრო ურთიერთობების ცვლილების, ისე ქვეყანაში უმუშევრობის მწვავე პრობლემის გამო. გარდა ამისა, რესპონდენტების 41.8%-ს (23) მხოლოდ საშუალო განათლება აქვს მიღებული, ხოლო გამოკითხულთა 9%-ს (5) არასრული საშუალო განათლება აქვს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი რესპოდენტები ან უმუშევრები რჩებიან, ან დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე თუ ახერხებენ დასაქმებას. გამოკითხულ რესპოდენტთა 85.4% (47) თავს უმუშევრად მიიჩნევს. მხოლოდ 14.6% (8) არის სტაბილურად დასაქმებული

28 დასაქმებულთა შემოსავალი 300-დან 1000-ლარამდეა, ხოლო ოჯახის წევრთა რაოდენობა 3-დან 7-მდე.

29 ფოსტალიონი, საქმეთა მმართველი, მძღოლი, ლაბორანტი, მედიცინის მუშაკი, ტელეგრაფისტი.

დასუფთავების, სერვისისა და საგანმანათლებლო სფეროში. დანარჩენი შრომისუნარიანი რესპონდენტები არასტაბილურად, დღიურ ფიზიკურ სამუშაოზე (დასუფთავების ან სამშენებლო სფერო) არიან დამოკიდებულნი. ასეთი ტიპის სამუშაო საბინაო საკითხის მოსაგვარებლად საკმარის შემოსავლებს ვერ უზრუნველყოფს.

მეორე მხრივ, არც იმ რესპოდენტებს გაუმართლათ, რომელთაც, არსებული საბაზრო ფორმაციის შესაბამისი განათლების მიღება შეძლეს: გამოკითხულთა 20%-ს (11) უმაღლეს განათლება აქვს. მათი პროფესიები პედაგოგიკის, იურისპრუდენციის, სოციოლოგიისა და ეკონომიკის სფეროებს მოიცავს. თუმცა, კეთილდღეობის სისტემების არარსებობის და მიზერული ხელფასების პირობებში, ვერც ამ ადამიანებმა შეძლეს უმაღლესი განათლებისა და მათი აქტუალური და საჭირო პროფესიების მეშვეობით თავის რჩენა და საცხოვრებლით უზრუნველყოფა, რის გამოც, საბოლოოდ, სოციალურ საცხოვრისში აღმოჩნდნენ.

გარდა ზემოთ განხილული სოციო-ეკონომიკური ფაქტორებისა, რესპონდენტთა უმუშევრობის მიზეზები შეიძლება დაიყოს ცალკეულ ობიექტურ და სუბიქტურ ფაქტორებად. ობიექტურ ფაქტორებში, პირობითად, გავაერთიანეთ ფიზიკური ან ფსიქიკური შეზღუდვის/საჭიროების მქონე ადამიანები, რის გამოც მათ არ შეუძლიათ მუდმივად, სტაბილურად, შემოსავლის მიღების მიზნით იყვნენ ჩართული შრომით ურთიერთობებში. რესპონდენტების 43.6% (24) ვერ მუშაობს ფიზიკური საჭიროებებისა თუ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო;

სუბიექტური ფაქტორები მოიცავს შრომისუნარიან რესპონდენტებს, ვისაც სურს მუშაობის დაწყება, თუმცა, სხვადასხვა სოციალური გარემოების გამო, არ აქვთ ამის საშუალება. ასეთი შეზღუდვებია, მაგალითად, სოციალურად დაუცველის სტატუსთან მიბმული დახმარების დაკარგვის შიში და ასაკი, რომლის გამოც ისინი ვერ შოულობენ, თუნდაც ყველაზე დაბალკვალიფიციურ სამსახურს.

დასაქმებული რესპონდენტებისთვის სამუშაო ადგილზე მიღებული ყოველდღიური თუ ყოველთვიური ანაზღაურება იმდენად მწირია, რომ ის შემოსავლის მთავარი წყარო ვერ ხდება და რესპონდენტები ძირითადად სოციალურად დაუცველი პირის დახმარებაზე არიან დამოკიდებულნი. მნიშვნელოვანია, რომ სოციალური დახმარება გაცილებით უფრო სტაბილური შემოსავალია, ვიდრე დროებითი სამუშაოდან მიღებული ხელფასი.

გამოკითხულ რესპოდენტთა 55 პროცენტის საშუალო ასაკი 53 წელია. გამოკითხულთა 10.9% (6), 50 წელს გადაცილებული რესპონდენტი, ამბობს, რომ ისინი ასაკის გამო ვერ შოულობენ სამსახურს. *„ყველას ახალგაზრდა უნდა. 50 წლის ვარ. მე ვინ მიმიღებს სამსახურში?!”* აცხადებს რესპონდენტი.

სუბიექტური ფაქტორების გამო დაუსაქმებლთა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ბავშვის, ან ოჯახის წევრის მოვლაში ჩართული ქალი რესპონდენტებიც. გამოკითხულთა 16.3% (9) შვილების აღზრდისა და მათი დამტოვებლის არყოლის გამო ვერ იწყებს მუშაობას. გამოკითხულთა 5.4% (3) ვერ იმუშავებს, რადგან ოჯახის წევრის მოვლაშია ჩართული. თუმცა, ქალებმა, რომლებმაც ამ მიზეზით თქვეს უარი მუშაობის დაწყებაზე, ყველაზე მძაფრად გამოხატეს დასაქმების სურვილი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შვილის დამტოვებელი, ან ოჯახის წევრის მომვლელი ეყოლებოდათ.

ცალკე აღსანიშნავი საკითხია რესპოდენტთა დამოკიდებულება დასაქმების პერსპექტივების მიმართ. შეკითხვაზე, „გსურთ თუ არა მუშაობის დაწყება”, 21.8% (12) დადებითად პასუხობს. რესპონდენტებისთვის ოჯახს გარეთ, თუნდაც დაბალ ანაზღაურებაზე, მუშაობა, შემოსავლის მიღების გარდა, ხშირად, საცხოვრისს მიღმა სოციალიზაციისა და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების ერთადერთი საშუალებაა.

რესპონდენტთა ნაწილისათვის სოციალიზაცია და საკუთარი თავის გამოხატვა იმდენად მნიშვნელოვანი მოტივატორი აღმოჩნდა, რომ მათ მოახერხეს ნიჭზე დაფუძნებული ისეთი პროფესიების განვითარება, როგორიც არის გობერობა, ხალიჩის ქსოვა, კერვა, თუმცა რესურსების ან უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობის არქონის გამო, მათ უჭირთ, ხელობა შემოსავლიან საქმედ აქციონ.

დაუსაქმებელი რესპოდენტები სასურველ სამუშაოდ ასახელებენ ნებისმიერ, მათ შორის, ყველაზე არაკვალიფიციურ სამუშაოსაც. ისინი თანახმანი არიან იმუშაონ დამლაგებლად, მაღაზიის გამყიდვლად ან დღიურ მუშებად.

მიუხედავად რესპოდენტებში გამოხატული დასაქმების ძლიერი სურვილისა, არსებული სოციალური სისტემა მათ არ სთავაზობს კვალიფიკაციის განახლებისა და ამაღლების ან ახალი ფორმაციის შესაბამისი, რეალური სამუშაო უნარ-ჩვევების განვითარების საშუალებას. შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანთა დასაქმება სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტებს მიღმაა. მათთვის შესაბამისი პირობებით დასაქმების ადგილების შერჩევა და შეთავაზება გამონაკლისი შემთხვევაში თუ ხდება. გარკვეული ასაკის მიღწევა კი არასტაბილურობასა და შემოსავლის გარეშე დარჩენასთან ასოცირდება. ასაკოვანი რესპონდენტები შიშობენ, რომ ისინი კიდევ უფრო არასაჭირონი გახდებიან – იაფი შრომის ბაზრისთვისაც კი.

7.4. შემოსავლები

გამოკითხულთა ოჯახების ყველაზე გავრცელებული ყოველთვიური შემოსავალი (შრომის ანაზღაურებისა და სოციალური დახმარებების ჯამი) 350 ლარია (მედიანა)[30]. შედარებისთვის უნდა ითქვას, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოში ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 1175.3 ლარს, ხოლო ერთ სულზე საშუალო თვიური შემოსავალი 336.1 ლარს შეადგენს[31]. ამ ციფრებიდან კარგად ჩანს, რომ ქვეყნის ოფიციალური ყოველთვიური საშუალო შემოსავალი 1 ადამიანზე (336 ლარი) თითქმის უტოლდება კვლევაში მონაწილე ოჯახების მთლიან ყოველთვიურ შემოსავალს (350 ლარი). ამასთან, საქართველოში, ოფიციალური მონაცემების თანახმად, საარსებო მინიმუმი 1 პირზე 183.5 ლარს[32] შეადგენს, მაშინ როდესაც კვლევაში მონაწილეთა რესპოდენტთა ნაწილისათვის მათი ოჯახის მთლიანი ყოველთვიური შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია.

ფულად შემოსავალთან ერთად, რესპონდენტები ვაუჩერებსა და სხვა შემწეობებზე არიან დამოკიდებულნი. ბავშვიანი ოჯახებისთვის თბილისში მოქმედებს ბავშვის კვების ბარათი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე მაღაზიათა ქსელში: „ნიკორაში", „ზღაპარში", „ფრესკოსა" და"ლიბრეში" ფუნქციონირებს. აღნიშნული მაღაზიები საცხოვრისიდან შორს, ტრანსპორტით სავალ მანძილზე მდებარეობს. პანდემიისას დაწესებული საგანგებო მდგომარეობისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვის გამო, სოციალურ საცხოვრისში მყოფი პირებისათვის ბარათებით სარგებლობა პრაქტიკულად ხელმიუწვდომელი გახდა. გამოკითხული ოჯახები აქტიურად სარგებლობენ უფასო სასადილოს მომსახურებით (ქუთაისში „მადლიერების სახლით").

შემოსავლებისა და ვაუჩერული სისტემის სიმწირის ან მიუწვდომლობის პირობებში, რესპონდენტთა

30 საშუალო თვიური შემოსავალი 416 ლარს შეადგენს

31 შინამეურნეობის შემოსავლები; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; https://bit.ly/3829KD3

32 საქართვეელოს სტატისტიკის სამსახური; შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი, 2020; ტექსტში გამოყენებულია 220 წლის ივლისის საარსებო მინიმუმის მონაცემი; https://bit.ly/37lTcaa

პირველადი საჭიროებების (საკვები და სამედიცინო საჭიროებები) დაკმაყოფილების საშუალება ხშირად ხდება ნისია ან ვალი. გამოკითხულთა 74%-ს (42) აქვს ბანკის, მიკრო საფინანსო ორგანიზაციის, მაღაზიის ან აფთიაქის ვალი. რესპოდენტთა იმ ნაწილისთვის, ვისთვისაც ვალის აღება მისი დაბრუნების შეუძლებლობით გამოწვეულ შიშსა და შფოთვას უკავშირდება, ვალზე უარის თქმა პირველადი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობლობაში აისახება. მიუხედავად მზარდი რისკებისა და ფინანსური არამდგრადობის კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივისა, რესპოდენტთა სხვა ნაწილისათვის საფინანსო ინსტიტუტებიდან კრედიტის, ან საყოფაცხოვრებო ტექნიკის განვადების სახით აღებული ვალი, სოციალური დახმარების წინასწარ აღების პრაქტიკა, ასევე კერძო მევახშეებისგან მიღებული მაღალპროცენტიანი სესხები ამგვარი უკიდურესი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია. უბნის მაღაზიისა და აფთიაქის ვალი (ნისია) პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების, შედარებით უფრო პოზიტიური ალტერნატივაა, რადგან საცხოვრისის მაცხოვრებლებისა და ადგილობრივი უბნის მაღაზიების თანამშრომელთა სისტემატური კომუნიკაციის წყალობით წარმოშობილი ურთიერთნდობა, საცხოვრისის ბინადართა საზოგადოებაში რეინტეგრაციის წინაპირობაა.

შემოსავლების მინიმალური ოდენობასა და სასიცოცხლოდ აუცილებელ საჭიროებებს შორის დარღვეული ბალანსი სოციალური დახმარების მწირი პროგრამებით რთულად აღსადგენია. მიუხედავად ამისა, საცხოვრისის მობინადარნი, ამ სერვისებისა თუ ფინანსური ვალდებულებების ტვირთის ხარჯზე, ახერხებენ პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

7.5. ხარჯები

გამოკითხული ოჯახების ძირითად ხარჯებს კომუნალურ (ელექტრო ენერგიის, წყლის, დასუფთავების) და სამედიცინო მომსახურებებზე, ასევე პროდუქტებზე გაწეული დანახარჯები შეადგენს. მათი ყოველთვიური კომუნალური გადასახადი 5 ლარიდან 400 ლარამდე მერყეობს. გამოკითხულთა 40%-სთვის (22 ოჯახი), კომუნალურ გადასახადებზე გაწეული საშუალო ხარჯი 30 ლარია. ბუნებრივი აირის არქონის გამო, ოჯახების 65.4% (36), ძირითადად ისინი, ვისაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ, გასათბობად ელექტრო ენერგიას იყენებს, რაც მათ კომუნალურ ხარჯებს მძიმე ტვირთად აწვება. რესპონდენტების ნაწილს კი, მაღალი კომუნალური გადასახადების გამო, ურჩევნია ზამთარში გასათბობად მხოლოდ თბილი ტანსაცმელი გამოიყენოს. სოციალურ საცხოვრისებში არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი, თუმცა საცხოვრისამდე მილები მიყვანილია. გამოკითხულები ამის მიზეზად ტექნიკურ სირთულეებსა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს ასახელებენ[33]. რესპონდენტები თვლიან, რომ ბუნებრივი აირის შემოყვანა მათ კომუნალურ ხარჯებს მნიშვნელოვნად შეამცირებდა. ამ პირობებში მაცხოვრებლები საკვებს ან ელექტრო ენერგიის გამოყენებით ამზადებენ, ან პატარა მოცულობის ბუნებრივი აირის ე.წ. „ბალონებს" მოიხმარენ: გამოკითხულთა 40% (22) საჭმლის მოსამზადებლად „გაზის ბალონს", ხოლო 60% (33) ელექტრო ენერგიას იყენებს.

უსახლკარო პირთა შემოსავლებისა და რესურსების ძირითადი ნაწილის კომუნალურ გადასახადებზე ხარჯვა აჩვენებს მათი კომუნალური მომსახურებების სუბსიდირების აუცილებლობას. გარდა ამისა, აუცილებელია სოციალურ საცხოვრისებში იაფი, ალტერნატიული კომუნალური სერვისებისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რათა აქ განთავსებულმა ოჯახებმა კომუნალური მომსახურებით სარგებლობა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის გარეშე შეძლონ.

33 ქუთაისის საცხოვრისის შემთხვევაში, არსებობს „სოკარ ჯორჯია გაზის" ოფიციალური პოზიცია, რომ „შენობაში უსაფრთხოების ნორმები დაცული არ არის, რის გამოც გაზის ჩართვა ვერ მოხდება".

7.6. სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი

ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები, რესპონდენტების ნაწილისთვის უსახლკარობის, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიზეზს წარმოადგენს. გამოკითხულთა მხოლოდ 21.8%-ს (12) აქვს მხოლოდ ერთი, სოციალური მოწყვლადობის ნიშნით განსაზღვრული სტატუსი (სოციალურად დაუცველის სტატუსი). ხოლო გამოკითხულ რესპოდენტთა უმეტესობა, 78.2% (43), სოციალურად დაუცველის სტატუსთან ერთად, ჯანმრთელობის ან სოციალური მოწყვლადობის სხვა სტატუსითაც სარგებლობს[34]. გამოკითხულთა 30.9%-ის (17) ოჯახში არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ერთი პირი მაინც. გამოკითხულთა 38.1% (21) ამბობს, რომ მათ ოჯახშიც არიან განსაკუთრებული ფიზიკური საჭიროების/შეზღუდვის ან ფსიქიკური საჭიროების მქონე პირები, თუმცა, ყველა მათგანს არ გააჩნია ფაქტობრივი შეზღუდვის შესაბამისი ოფიციალური სტატუსი და დახმარება, რადგან სტატუსის მინიჭება ცალკე ხარჯებთან ან ბიუროკრატიულ პროცედურებთან არის დაკავშირებული. მათ მიერ დასახელებული ყველაზე ხშირად განმეორებადი დიაგნოზებია: ეპილეფსია, ნერვული, სტრესული ფონის გაუარესება. ფიზიკური შეზღუდვები კი ან თანდაყოლილია, ან სამედიცინო სერვისების არქონით/დაგვიანებით გამოწვეული და დამძიმებული.

7.7. სოციალური საცხოვრისების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა

თბილისისა და ქუთაისის სოციალური საცხოვრისები დასახლებული პუნქტისგან განცალკევებით მდგარი მართკუთხა შენობებია. მათი ინფრასტრუქტურა ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული ფიზიკური ელემენტებისგან შედგება. შენობის ინფრასტრუქტურული პირობების კვლევისას, ყურადღება მივაქცევთ ისეთ აუცილებელ და სასიცოცხლო ელემენტებს, როგორიც არის შენობის აგებულება, საცხოვრებელი სივრცეების განლაგება, განსახლების სიმჭიდროვე და ზომა (ფართობი), იზოლაცია, წყალ- და ელექტროგაყვანილობა, განიავების საშუალებები, სველი წერტილები, ინდივიდუალური საცხოვრებლის გარე სივრცესთან დამაკავშირებელი დერეფანი (სადარბაზო), საჯარო სივრცე და სხვა. ფიზიკური გარემოს მდგომარეობის მიხედვით, შესაძლებელი ხდება მასში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების ხარისხისა და ჯანმრთელობის შესახებ მკაფიო წარმოდგენის შექმნა.

ა. ხმაური

კვლევის პროცესში ჩატარებული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ სოციალური საცხოვრისის შენობებში ჩატარებულმა სარემონტო სამუშაოებმა ვერ უზრუნველყო შიდა კედლებისა და დერეფნის სისტემის ისე მოწყობა, რომ მაცხოვრებლები უწყვეტი საყოფაცხოვრეო ხმაურისგან დაეცვა. შესაბამისად, საცხოვრისში ყველაზე გავრცელებულ ნეგატიურ გარემოებად ხმაური დასახელდა. გამოკითხულთა 85.4% (47) ამბობს, რომ მათ საცხოვრისში განუწყვეტელი ხმაურია: მეზობლების სახლიდან გამომავალი საუბრისა თუ ტელევიზორის ხმა ექოსავით ისმის სხვა მაცხოვრებლის ბინაში. ამასთან, გრძელი, 16-ბინიანი დერეფნიდან შემომავალ ხმაურს ბინაში არსებულიც აძლიერებს. არაიზოლირებული საერთო კედლები ამ შენობებში ნებისმიერ ხმასა თუ ჟღერადობას ხმაურად აქცევს. რესპონდენტები ხმაურს მეზობლებს, შენობაში მაცხოვრებელ ბავშვებსა და „ხმაურიან ხალხს" უკავშირებს, თუმცა პირისპირ ინტერვიუს დროს, ხმაურის მიზეზებს სხვაგვარად

34 ასაკობრივი ან/და შშმ პირის, მარტოხელა, მრავალშვილიანი დედის სტატუსს მაინც ფლობენ.

ხსნიან და ამბობენ, რომ შენობის სივრცე თხელი კედლებით – „კარდონის" ან გიფსო-კარდონის მასალით არის ერთმანეთისგან გამიჯნული, რაც მსუბუქ ხმებსაც კი ვერ აკავებს. ხმაურს აძლიერებს ბინების განიავებასთან დაკავშირებული პრობლემებიც. თბილისში, სოციალურ საცხოვრისში გამოყოფილ ბინებს მხოლოდ ერთი ფანჯარა აქვთ, ქუთაისის ბინებში კი მხოლოდ ერთი ფანჯარა იღება. ამის გამო, საცხოვრებლის გასანიავებლად, მაცხოვრებლები სახლში შესასვლელ კარს ღიად ტოვებენ, განსაკუთრებით თბილ ამინდსა და ზაფხულში. იმ პირობებში კი, როცა შენობის დერეფნებს უფროსები სოციალიზაციისთვის იყენებენ, ბავშვები კი კეთილმოუწყობელი ეზოს ან ცივი ამინდის გამო, თავისუფალ დროს კორპუსის შესასვლელში ან დერეფნებში თამაშობენ, მათი ხმები, დამატებით, მუდმივ და უწყვეტ ხმაურს ქმნის. ხმაურის ასეთი მრავალფეროვნება ოჯახების ყოველდღიური რუტინის ნაწილია, რომელიც ბავშვებს მეცადინეობაში, მოხუცებსა და სხვადასხვა ფიზიკური თუ ფსიქიკური საჭიროებების მქონე ადმიანებს დასვენებაში, ოჯახებს – პირადი ცხოვრების ქონაში უშლით ხელს და ხშირად ოჯახებს შორის კონფლიქტის მიზეზი ხდება. რესპონდენტები ხმაურს, რუტინულ ცხოვრებაზე მისი გავლენისა და ეფექტის გამო, ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზად მიიჩნევენ. პირად საუბრებში აღნიშნავდნენ, რომ მათ ხმაურისგან გამოწვეული ნევროზის მწვავე ფორმები აწუხებთ – *„ყველას ნევროზი დაგვმართა ხმაურმა"* – ამბობდნენ რეპონდენტები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თბილისში, ორხევის დასახლებასთან ახლოს მდებარეობს აეროპორტი. თვითმფრინავების გადაფრენის მუდმივი ხმაური კიდევ ერთი დამატებითი პრობლემაა რესპონდენტთა მშვიდი ცხოვრებისთვის.

ხმაური და მასთან დაკავშირებული პრობლემები, შენობის ინფრასტრუქტურის ერთადერთი გამოწვევა არ არის. თბილისის სოციალურ საცხოვრისში მძიმე პრობლემაა მაცხოვრებელთა ბინების ზომა და განსახლების სიმჭიდროვე (ორხევის საცხოვრისში 75 ბინიდან 73-ის ფართობი 38 კვადრატული მეტრია. ოჯახის წევრთა რაოდენობა 2-დან 7-მდეა. გარდა იმისა, რომ ოჯახების წევრთა რაოდენობა და საცხოვრებელი ფართი თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საცხოვრისით უზრუნველყოფისას დადგენილ საორიენტაციო ფართობთანაც შეუსაბამოა, ასევე პრობლემურია მცირე საცხოვრებელ ფართში მრავალთაობიანი ან მრავალშვილიანი ოჯახების განთავსებაც. მცირე ფართის გამო მრავალწევრიანი და მრავალთაობიანი ოჯახებისთვის შექმნილი პირობები მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის, ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის ხელის შემშლელი ფაქტორია. ეს სივრცე მოიცავს იზოლირებულ სველ წერტილს და ე.წ. სტუდიოს ტიპის საცხოვრებელს, სადაც გაერთიანებულია სამზარეულო, საძინებელი, მისაღები და ბავშვების სამეცადინო სივრცე. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტი ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფისას ადგენს ერთ სულზე საორიენტაციო საცხოვრებელ ფართობს და ის 6 კვადრატულ მეტრს შეადგენს[35], არაიზოლირებული საცხოვრებელი სივრცისა და ოჯახის რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრების პირობებში, საცხოვრისის ამგვარი დაგეგმარება, ცხოვრების არასათანადო პირობებს ქმნის – ადამიანებისთვის ასეთი სივრცე კარგავს საცხოვრებლის ფუნქციას და ხმაურიან მოსაცდელ ოთახებს ემსგავსება. ფართის სიმცირის საკითხი განსაკუთრებით პანდემიის პირობებში გამწვავდა. საცხოვრისში არსებული სივიწროვის, არაიზოლიებული ოთახებისა და ხმაურის გამო, ბავშვებისთვის შეუძლებელი გახდა მეცადინეობა და სასწავლო პროცესის მოთხოვნებთან გამკლავება. მშობლები ამბობდნენ, რომ ისინი განიცდიან ბავშვების სასწავლო პროცესისგან ჩამორჩენას, თუმცა, დამოუკიდებელი ძალებით ვერ უმკლავდებიან ამ პრობლემას – *„ალბათ ჩატოვებენ კლასში. რა ვქნა?!"*- გვეუბნება ერთი რესპონდენტი.

35 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი; მუხლი 6; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #37-14; 2019.

ბ. საცხოვრებლად გამოუსადეგარი სივრცე

თუ თბილისის საცხოვრისში ხმაურის შემდეგ მთავარი პრობლემა სიმჭიდროვეა, ქუთაისის შენობის შემთხვევაში, ეს პრობლემა საცხოვრებლად უვარგისი სივრცეა. ქუთაისის სოციალური საცხოვრისის შენობა ყოფილი კავშირგაბმულობის დაწესებულებაა. აუდიტის შესაბამისობის ანგარიშის თანახმად (2019), რემონტის მიუხედავად, შენობა საცხოვრებლად უვარგისია. შენობის ფანჯრები იატაკიდან დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლეზეა განლაგებული. ფანჯრები, როგორც წესი, გასაღებად მიუწვდომელია, ფუნქციურად კი მხოლოდ ერთი ფანჯარა იღება. სახლის განიავების გარდა, ასეთი პირობები მაცხოვრებლებს სარეცხის გაფენაშიც უშლით ხელს. შენობას და ფანჯრებს არ აქვს სარეცხის გასაფენი თოკები, ე.წ. შტორები, ამის გამო მაცხოვრებლები სარეცხს საკუთარ ბინაში ან შენობის დერეფანში ფენენ. დერეფანში მუდმივად გაფენილი სარეცხი ნესტს იწვევს და მაცხოვრებელთა ჯანმრთელობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. გამოკითხვისას რესპონდენტები ამბობდნენ, რომ მათ სუნთქვისთვის „ნორმალური ჰაერი" სჭირდებათ. გამოთქმა არ არის მეტაფორული და მასში სარეცხის ფხვნილისა და ნესტისგან სუფთა ჰაერი იგულისხმება. ასეთ სიტუაციაში, მაცხოვრებელები გამოსავალს აივნების მოშენების ხარჯზე, ფართობის მომატებაში ხედავენ.

გ. არასაკმარისი ავეჯი და ტექნიკა

თბილისისა და ქუთაისის სოციალური საცხოვრისის მაცხოვრებლებს ბინებში გადასვლისას შემდეგი ავეჯი დახვდათ: სასადილო მაგიდა, სკამები და ლოგინი. რესპონდენტები ამბობენ, რომ ეს ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა უხარისხოა და იშლება. ამას გარდა, გამოკითხულთა 49%-ს (27) არსებული ავეჯი არ მიაჩნია საკმარისად ყოველდღიური ყოფისათვის. 21.8% (12) ფიქრობს, რომ ავეჯი მხოლოდ ნაწილობრივაა საკმარისი: მაგიდა, სკამები და საწოლი ლოგინები კი აქვთ, მაგრამ აუცილებლად სჭირდებათ კარადები, სათავსოები, საძინებლის სხვა ავეჯი და სამეცადინო კუთხე – ბავშვებიანი ოჯახებისთვის. ზოგიერთი რესპონდენტი უარს ამბობს საჭირო ავეჯზე, საცხოვრებელში ფართის სიმცირის გამო. საყოფაცხოვრებო ავეჯის გარდა, სოციალური საცხოვრისის მაცხოვრებლებისთვის პირველად საჭიროებას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ტექნიკა: სარეცხის მანქანა და წყლის გამაცხელებელი. შემდეგ აუცილებელ ნივთად დასახელდა გამათბობელი, რაც საკვების მომზადებასა და ზამთარში გათბობას უკავშირდება. მაცხოვრებლები ასევე ასახელებენ მაცივრის საჭიროებას, რაც საკვები პროდუქტის ადეკვატურ პირობებში შესანახად და ხანგრძლივი კვების მენიუს დასაგეგმად არის აუცილებელი. მისი არქონის გამო მაცხოვრებლებს მხოლოდ ერთი დღის საკვების მომზადება უწევთ და ვერ ახერხებენ, მაგალითად, უფასო სასადილოდან წამოღებული პროდუქტის გარკვეული პერიოდით შენახვას. რესპონდენტებს შორის იყვნენ ისეთები, რომელთა საჭიროებები განსხვადებოდა დანარჩენი მაცხოვრებლებისგან. მაგალითად, მარტოხელა ქალისთვის მნიშვნელოვანია სახლის შესასვლელი კარის ნორმალური ფუნქციონირებაა. კარი კი დაზიანებულია და არ იკეტება.

საჭირო და აუცილებელ ტექნიკად რესპონდენტები მორიდებით ასახელებდნენ კომპიუტერსა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობას – *„გასართობად არა"* – ამბობდნენ ისინი. თუ კომპიუტერი აქამდე გართობასთან დაკავშირებული მოწყობილობა იყო, პანდემიის პირობებში მან სასკოლო განათლების მიღების დატვირთვა შეიძინა და მისი არქონა, განსაკუთრებით ბავშვიანი ოჯახებისთვის, სასკოლო პროგრამისგან ჩამორჩენისა და ბავშვების განვითარების შეფერხების სიმბოლოდ იქცა. 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში, პანდემიისა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის პრობლემის გამო, სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ბევრი ბავშვი ჩამორჩა ონლაინ სასწავლო პროცესს. მშობლების ერთადერთი გამოსავალი მობილური ინტერნეტის გამოყენება იყო. გარდა იმისა, რომ მობილური ტელეფონით განათლების მიღება ბავშვის მოტივაციასა და უნარებზე უარყოფითად აისახება, შეუძლებელია ამ საშუალების გამოყენება მრავალშვილიან ოჯახში. პანდემიისას მწვავედ იდგა ასევე ინტერნეტის უწყვეტი მიწოდების საკითხი.

დ. შშმ პირების საჭიროებებთან არაადაპტირებული გარემო

მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მაცხოვრებლების დიდი რაოდენობისა, სოციალური საცხოვრისის შენობები არაა მისადაგებული მათ საჭიროებებთან. შშმ პირების მშობლისთვის ტექნიკასა და ავეჯზე მეტად გადაუდებელ საჭიროებას სპეციალური ეტლი წარმოადგენს. თბილისის სოციალურ საცხოვრისში, ეტლით მოსარგებლეთათვის სპეციალური ლიფტია დამონტაჟებული, თუმცა ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ ლიფტი გაფუჭებულია და მისი ოჯახის შშმ წევრი გარეთ მეზობლების დახმარებით გამოყავს. ქუთაისის სოციალური საცხოვრისი, საერთოდ არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

ე. სანიტარულ- ჰიგიენური პირობები

ცივი წყალი და ელექტრო ენერგია ყველა რესპონდენტის ბინაში უწყვეტად არის. ცხელი წყალი გამოკითხულების 54.5%-ს (30) აქვს, ხოლო 45.5%-ს (25) არ აქვს. თბილისთან შედარებით, ქუთაისში ცხელი წყლის პრობლემა უფრო მწვავედ დგას. ცხელი წყლის არქონა – ბინებში სიმჭიდროვით გამოწვეული სანიტარული პირობების, ბავშვთა და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა დიდი რაოდენობის გამო – ჰიგიენურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. თბილისში, სოციალური საცხოვრისის შენობის გარემონტებისას, ყველა ბინაში დაამონტაჟეს ცხელი წყლის გამაცხელებელი, ე.წ. „ატმორი". 2017 წელს, საცხოვრისში პირველი ნაკადის (23 ოჯახის) მიყვანისთანავე, ყველა „ატმორი" გადაიწვა და ამ ოჯახებისთვის თავიდან შეისყიდეს ეს მოწყობილობა. მეორე ეტაპზე შესული ოჯახებსაც იგივე პრობლემა შეექმნათ, თუმცა მათ აღარ გამოუცვალეს წყლის გამაცხელებელი და უთხრეს, რომ თავად უნდა ეზრუნათ ამაზე. დაუდევრობითა თუ ყურადღებობით, სათანადო ზედამხედველობის გარეშე სახელმწიფო სახსრებით შეძენილი იაფი ან გაუმართავი პროდუქტის გამო, საცხოვრისის მაცხოვრებლები თითქმის ცხელი წყლის გარეშე არიან დარჩენილები. სანიტარულ-ჰიგიენური ნივთების ხელმისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებით აქ მაცხოვრებელ შშმ პირებს უდგათ. მათთვის ძალიან რთულია თუნდაც ჰიგიენური საფენებისა და სხვა სანიტარული მასალების შესყიდვა.

ვ. გარე პერიმეტრის ინფრასტრუქტურა

სერიოზული სირთულეებია შენობების გარე პერიმეტრის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა დიდი ნაწილი პრობლემად ეზოსა და შემოგარენის ცენტრალური განათების არარსებობას ასახელებს. გარდა ამისა, საცხოვრისებში 200-მდე არასრულწლოვანი ბავშვი ცხოვრობს. შენობის გარშემო არ არის სპორტული მოედნები, არასათანადოდაა მოწყობილი სათამაშო სივრცეები.

ორხევის სოციალური საცხოვრისის შენობის უკან მოწყობილია ბავშვთა სათამაშო კუთხე, თუმცა, როგორც ადგილობრივები ამბობენ, სივრცის გარშემო არსებულ ბუჩქებში ქვეწარმავლები ბუდობენ. საბავშვო სივრცის გარშემო არ არის საკმაო გამწვანება, ან საჩრდილობლები, რაც ზაფხულში შეუძლებელს ხდის ამ სივრცეებში ბავშვების ხანგრძლივად ყოფნას.არც ქუთაისის საცხოვრისის ირგვლივ არის ორგანიზებული სარეკრეაციო სივრცე. სასეირნოდ ან ბავშვების სათამაშოდ, მაცხოვრებლები ახლო მდებარე პოლიკლინიკის ეზოს იყენებენ. თბილისის საცხოვრისისთვის ასეთი უახლოესი სივრცე ეკლესიის სკვერია, სადაც რესპონდენტები, შენობის ხმაურს გარიდებულები, დროებით მაინც ცდილობენ თავის შეფარებას.

8. შენობის უსაფრთხოება

შენობების ინფრასტრუქტურის სუბიექტური შეფასებისას, რესპონდენტების 80% (44) თვლის, რომ საცხოვრისი არ არის უსაფრთხო, ხოლო 20%-სთვის (11) ის საცხოვრებლად უსაფრთხოა. ქუთაისის საცხოვრისის შენობა, განსხვავებით თბილისის შენობისგან, 5 სართულისგან შედგება და 16 ოჯახით დასახლებულ გრძელ დერეფნებს მხოლოდ ერთი კიბე ემსახურება. შენობა, სიმყარის თავლსაზირისით, საცხოვრებლად საშიშია. ამასთან, მას არ გააჩნა საავარიო კიბე. აღნიშნულს ადასტურებს აუდიტის სამსახურის დასკვნა (აუდიტის ანგარიში; 2019,21). მიუხედავად ასეთი დასკვნისა, 80-მდე ოჯახი შენობაში დღემდე განაგრძნობს ცხოვრებას. უსაფრთხოდ თავს არც თბილისის სოციალური საცხოვრისის ბინადრები გრძნობენ. განსაკუთრებით ქარის დროს, როცა, მათი განცხადებით, „კედლები იბერება", ირყევა და ორპირს ატარებს. გამოკითხულთა 49% (27) საკუთარ ბინას საშიშ, დაბინძურებულ და ხმაურიან ადგილად მოიხსენიებს. საფრთხეს ქმნის კედლების ბათქაშის არაერთხელ ჩამონგრევა სველ წერტილში[36] (ქუთაისი). საცხოვრისთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებზე მობინადრეთა 56.3% (31), ძირითათად, მერიას, პოლიციას, სოციალურ მუშაკს, ადმინისტრაციას ან მეზობლებს მიმართავს, 40% (22) კი ფიქრობს, რომ აზრი არ აქვს ვინმესთვის მიმართვას და ცდილობენ თავად გაუმკლავდნენ პრობლემებს.

როგორც ვხედავთ, თბილისსა და ქუთაისში არსებული სოციალური საცხოვრისის ინფრასტრუქტურა ვერ აკმაყოფილებს საქალაქო ცხოვრებისთვის აუცილებელ ელემენტარულ პირობებს. საცხოვრისების ინფრასტრუქტურის მწვავე პრობლემები არა თუ ვერ ქმნის ადამიანთა ღირსეული ცხოვრების გარანტიებს, არამედ ამ თვალსაზრისით, ამძიმებს კიდეც მობინადრეთა ჯგუფების ყოველდღიურობას.

7.8. საცხოვრისის ურბანული მდებარეობა

საცხოვრებელი უბანი, მისი ადგილმდებარეობა და მასთან დაკავშირებული სოციალური ინფრასტრუქტურა უსახლკაროთა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის აუცილებელი ფაქტორია. ამდენად, სოციალური საცხოვრისის ურბანულ მდებარეობას და პირობებს, საცხოვრებელ პირობებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანების სრულფასოვანი არსებობისათვის. კვლევის პროცესში, საცხოვრისების მიმდებარედ, ურბანულ გარემოსთან დაკავშირებული არა ერთი პრობლემა გამოვლინდა. სწორედ ურბანული გარემოს პრობლემების გამო, სოციალური საცხოვრისის მოსახლეობა იზოლირებულია და იშვიათად ახერხებს საცხოვრისის დატოვებას. გამოკითხულთა 25.4% (14), მხოლოდ თვეში ერთხელ ტოვებს შენობას, სოციალური დახმარების ან პენსიის მისაღებად. ხოლო 9% (5) საერთოდ არ გადის საცხოვრისიდან.

სოციალური საცხოვრისები გარეუბნებში, ქუთაისში – ნიკეას და თბილისში- ორხევის უბნებში, მდებარეობს. ორივე შენობა ამავე უბნების დასახლებული ადგილებისგან განცალკევებით დგას და შენობის არქიტექტურაც შესამჩნევად განსხვავდება, ამავე უბანში არსებული სხვა საცხოვრებელი კორპუსებისგან. ორივე საცხოვრისი თითქმის მეოთხე წელია სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 150-ზე მეტი ოჯახისთვის. მიუხედავად ამისა, მათ გარშემო საქალაქო ინფრასტრუქტურა არ განვითარებულა. თბილისის შემთხვევაში, ორხევის სოციალური საცხოვრისის გარშემო ქარხნებია, რაც დამატებით დაბრკოლებაა ტერიტორიის საცხოვრებელი ფუნქციით განვითარებისათვის.

გარეშე პირებისთვის მხოლოდ მისამართით ადგილის მიგნება რთულია. მოცემული კვლევის ფარგლებში, ადგილზე პირველი ვიზიტისას, შენობებს ტრანსპორტის მძღოლებისა და

36 ქუთაისში 2017 წელს რეაბილიტირებულ სოციალურ საცხოვრისში ჭერი ჩაინგრა; 2018; https://bit.ly/3adv7Uo

ადგილობრივების დახმარებით მივაგენით. ნიშანდობლივი იყო, რომ უბნის ძველი მაცხოვრებლები სოციალური საცხოვრისის შენობას „ლტოლვილების" კორპუსად მოიხენიებდნენ. ქართულ კულტურაში „ლტოლვილი" შეიძლება უცხოს, არაადგილობრივის, ჩამოსულის მეტაფორა იყოს, რაც აქ მაცხოვრებელთა გარიყულობისა და იზოლაციის კიდევ ერთი ნიშანია.

ა. ჯანდაცვის და საყოფაცხოვრებო ობიექტების მისაწვდომობის პრობლემა

გამოკითხული რესპოდენტები აცხადებენ, რომ არსებული სოციალური საცხოვრისები შორსაა ჯანდაცვის, ეკონომიკური და სოციალური ობიექტებისაგან, როგორებიცაა პოლიკლინიკა, ბაზარი, ბანკის ფილიალი, რეკრეაციული სივრცე და ა.შ. ამასთან, ტრანსპორტის არსებული სისტემა არ იძლევა საჭირო სერვისების ახლო-მახლო უბნებში მარტივად მიღების შესაძლებლობას. გამოკითხულთა 85%-სთვის ხელმისაწვდომი არ არის ბაზარი, რომლის ახლოს ქონა მნიშვნელოვანია პროდუქტების იაფად შესაძენად. რესპონდენტების 81%-სთვის ხელმისაწვდომი არ არის საავადმყოფო. ქუთაისში, რესპონდენტების სურვილია, ასევე, სოციალური სასადილოს („მადლიერების სახლი") საცხოვრისთან სიახლოვე, რადგან ყოველდღიურად სარგებლობენ სასადილოთი და დღიური საკვების მისაღებად ტრანსპორტით დიდი მანძილის გავლა უწევთ. სკოლა და საბავშვო ბაღი უფრო მეტად ქუთაისის საცხოვრისის მობინადრეთათვისაა ხელმისაწვდომი. თბილისის შემთხვევაში, წვიმიან ან ქარიან ამინდში ბავშვებს უჭირთ სკოლაში წასვლა, რადგან სკოლამდე მისასვლელი გზა დაზიანებულია და წვიმის დროს ტალახდება. ქარიან ამინდში კი, მოუწყობელი ქარსაცავი ზოლის გამო, სკოლისკენ მიმავალი გზა საფრთხის შემცველი ხდება.

ბ. ტრანსპორტი

ურბანული ინფრასტრუქტურის განუყოფელი ნაწილი – სატრანსპორტო სისტემა – ის საშუალებაა, რომელიც სოციალური საცხოვრისის მობინადრეებს ეკონომიკურ, სოციალურ და ჯანდაცვის სერვისებთან აკავშირებს. შესაბამისად, გამართული ტრანსპორტი მათი კვებისა და ჯანდაცვის სერვისების მისაღებად სასიცოცხლო ფუნქციის მქონეა. ტრანსპორტთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის სახელდება: ავტობუსის გაჩერების სიშორე, ტრანსპორტის დეფიციტი, ტრანსპორტის განრიგისა და მარშრუტების არარაციონალური დაგეგმვა. ქუთაისში მწვავედ დგას მუნიციპალურ ტრანსპორტში სამგზავრო-საბარათო სისტემის გამოყენების პრობლემაც.

ტრანსპორტის გაჩერების ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია რესპონდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ასაკზე. გამოკითხულთა 47.2%-სთვის (26) ტრანსპორტის გაჩერება საცხოვრისიდან შორია და საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი. 36.3%-სთვის (20) – საშუალოდ, ხოლო 16.3%-სთვის (9) ხელმისაწვდომია. ინტერვიუს დროს ასაკოვანი რესპონდენტები ამბობდნენ, რომ ავტობუსის გაჩერებიდან საცხოვრისამდე მისასვლელად ტაქსის დაქირავება და დამატებითი ხარჯის გაწევა უწევთ.

რესპოდენტთა განცხადებით, ყოველდღიურობაა ავტობუსების ხანგრძლივი ლოდინი, ხოლო ტრანსპორტის მარშრუტები არ უზრუნველყოფს დანიშნულების ადგილამდე მათ კომფორტულ მიყვანას, რის გამოც, ჩვეულებრივ, ორი ან სამი ტრანსპორტის გამოცვლა უწევთ. ქუთაისში ტრანსპორტი საღამოს 7 საათის შემდეგ წყვეტს მუშაობას, რაც ართულებს ამ პერიოდში საცხოვრებელში მოხვედრას ან მის დატოვებას. გადაუდებელ შემთხვევებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ქუთაისის საცხოვრისში საჯარო ტანსპორტზე ხელმისაწვდომობის პრობლემას ამძაფრებს ქალაქში ერთიანი, ელექტორნული სატრანსპორტო სისტემის არარსებობა. სოციალური საცხოვრისის

მობინადრეებს აქვთ ქაღალდის სამგზავრო ბარათები, რომლებიც, მგზავრობის საფასურის სანაცვლოდ, ავტობუსის მძღოლს უნდა მიაწოდონ. მძღოლებს უწევთ თვის ბოლოს ამ ბარათების თბილისში გაგზავნა და მხოლოდ ამის შემდეგ ერიცხებათ ბარათების ანაზღაურება. ეს პრაქტიკა არაერთხელ გამხდარა მძღოლებთან კონფლიქტის მიზეზი.

გამოკითხულთა აზრით, აუცილებელია ავტობუსის გაჩერების საცხოვრისთან ახლოს მოწყობა, ავტობუსის მოძრაობის სიხშირის გაზრდა, სატრანსპორტო მარშრუტების რაციონალური დაგეგმვა, საჯარო ტრანსპორტის მოძრაობის დროის გახანგრძლივება, განსაკუთრებით, საღამოს საათებში.

კვლევა აჩვენებს, რომ გამოკითხულთა ყოველდღიური საჭიროებები: სამედიცინო სერვისი, უფასო სასადილო, დღის ცენტრი არაა განლაგებული საცხოვრისთან ახლოს. ქალაქის ურბანული ნაწილისგან მოწყვეტილი სოციალური საცხოვრისის მოსახლეობისთვის ვერც სატრანსპორტო სისტემა უზრუნველყოფს პირველადი საჭიროების ობიექტებთან წვდომას. ურბანული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და ქალაქის მოძრავი ნაწილისგან მოწყვეტა, აძლიერებს ადგილობრივების სოციალური გარიყულობის განცდას.

7.9. სოციალური საცხოვრისების ინსტიტუციონალიზაცია

თბილისის სოციალურ საცხოვრისს გააჩნია მართვის სამოქმედო ინსტრუქცია, სადაც დეტალურად არის მოცემული საცხოვრისით სარგებლობის წესი და პირობები[37]. ამ პირობების შესრულებას ზედამხედველი პირები უწევენ კონტროლს. სოციალურ საცხოვრისს ჰყავს მამასახლისი და დაცვა. მამასახლისი სისტემატურად ამოწმებს საცხოვრისის ინვენტარს. ბენეფიციარები ვალდებულნი არიან, 24 საათზე მეტი დროით საცხოვრისის დატოვების შემთხვევაში, წინასწარ აცნობონ მამასახლისს სახლის დატოვების მიზნისა და სავარაუდო ადგილსამყოფელის შესახებ. 3 კვირაზე მეტი ვადით საცხოვრისის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. 23:00-დან დილის 08:00-მდე დაუშვებელია ხმაური და ტელე, ვიდეო და აუდიო აპარტურით სარგებლობა.

თბილისის სოციალური საცხოვრისის შენობის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო კამერები, რაც მაცხოვრებლებს მუდმივი თვალთვალის რეჟიმში ამყოფებს.

შენობის ადმინისტრაციის მხრიდან ამგვარი მკაცრი დისციპლინა სოციალურ საცხოვრისში წესრიგის დამყარებისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნებით აიხსნება. ამასთან, ადმინისტრაციის მხრივ სოციალურ საცხოვრისში ოჯახების განთავსება"საჩუქრად" რეპრეზენტირდება და, შესაბამისად, მაცხოვრებელთა კრიტიკის ან პრეტენზიის მოსმენა მათთვის მიუღებელია. უსაფრთხოების დაცვის საბაბით საცხოვრისების ინსტიტუციონალიზაცია უსახლკარობის წინააღმდეგ წარმატებული პოლიტიკის ნაწილი ვერ გახდება. სახლის, სიმყუდროვისა და უსაფრთხო სივრცის განცდის ნაცვლად, ინსტიტუციის ორგანიზება მრავალმა ქვეყანამ აღიარა შეცდომად, რომელიც გამორიცხავს უსახლკარო პირთათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნასა და საზოგადოებაში მათ რესოციალიზაციას.

37 სოციალური საცხოვრისის მართვის სამოქმედო ინსტრუქცია; მუხლი #3, 4, 5; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, განკარგულება N 18.813.1186; 2018

8

დასკვნა

თბილისისა და ქუთაისის სოციალურ საცხოვრისებში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ სოციალური საცხოვრისის არსებული ფორმა ვერ ქმნის ადამიანთა საცხოვრებლად სათანადო და ღირსეულ პირობებს, ხოლო დამხმარე ეკონომიკური და სოციალური პროგრამების არარსებობა ტვირთად აწვება მათ მატერიალურ, სოციალურ და ფიზიკურ მდგომარეობას.

საცხოვრისში გატარებული წლები კვლევის რესპონდენტებისთვის იზოლაციისა და სოციალური გარიყულობის მწარე გამოცდილებაა. ამ დროის განმავლობაში გაუარესდა მათი განათლების, დასაქმების, კვალიფიკაციის, სოციალური ურთიერთობების პერსპექტივები.

სოციალური საცხოვრისის არსებული პოლიტიკა არ ითვალისიწინებს ბენეფიციართა საჭიროებებსა და ინტერესებს. სიღრმისეული კვლევისა და ანალიზის გარეშე შექმნილი ეს სერვისი აცდენილია უსახლკარობის პრობლემის გადაჭრის მიზანს, ხოლო ბენეფიციარებს მუდმივად დახმარებაზე დამოკიდებულ პირებად აქცევს. მიუხედავად ამისა, თბილისისა და ქუთაისის მუნიციპალური სოციალური საცხოვრისები დღეს არსებული ერთადერთი მხარდაჭერაა აქ მცხოვრები ოჯახებისა და პირებისათვის. თუნდაც მძიმე პირობებით – ჭერის ქონა, ყოველთვიური ქირის ტვირთისგან გათავისუფლება, აბაზანა, მუდმივი წყალი და ელემენტარული საცხოვრებელი გარემო -გამოუვალი მდგომარეობიდან უალტერნატივო გამოსავალი ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასაბაშვილი, ლ. ნიკოლაიშვილი, გ. ზაზანაშვილი ნ. (2017). *საბინაო პოლიტიკა საქართველოში თბილისის მაგალითზე*. ი.

2. ერაძე, ი. (2020). *საკრედიტო ბუმი, ჭარბვალიანობა და ეროვნული ბანკი ანალიტიკური დოკუმენტი*. https://bit.ly/370g1jl

3. მჭედლიძე, ნ. (2019). *საცხოვრისის უფლება (საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა)*. https://bit.ly/3qGctdD

4. ნამიჭეიშვილი, ს. (2014). *უსახლკარობა, სოციალური საცხოვრისი და სოციალური მუშაობა. სახელმძღვანელო სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის.* https://bit.ly/2VWeVi7

5. პაპავა, (ლ) ვ. (2015). *საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფეორმები.* https://bit.ly/2JRC8Qb

6. საქართველოს სახალხო დამცველი. (2015). *უფლება სათანადო საცხოვრისზე. სპეციალური ანგარიში.* https://bit.ly/2JPtqSj

7. საქართველოს სახალხო დამცველი. (2017). *საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* https://bit.ly/3gvj0mQ

8. სუხიშვილი, ნ. მიქელაძე, თ. (2014). *არაღიარება, უმოქმედობა და რეპრესია საცხოვრებლის სანაცვლოდ.* https://bit.ly/3qItwMo

9. ქაშაკაშვილი, ნ. გვიშიანი, ლ. ჯანიაშვილი, მ. (2018). *უფლება სათანადო საცხოვრებელზე ძირითადი გამოწვევების ანალიზი.* https://bit.ly/36XZNqI

10. ღია საზოგადოების ფონდი; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). (2018). *საბანკო ვალდებულებები და უსახლკარობა.* https://bit.ly/3gsr5bY

11. ყიფშიძე, თ. (2019). *უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები – საერთაშორისო მიმოხილვა.* https://bit.ly/37PvG4c

12. ცინცაბაძე, ა. ნაცვლიშვილი, ვ. (2019). *საცხოვრისის მუნიციპალური სერვისები საქართველოში.* https://bit.ly/33Ybv2S

13. ცინცაბაძე, ა. ჭუბაბრია, თ. (2016). *უსახლკარობა სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი.* https://bit.ly/3oCniM9

14. ჭუბაბრია, თ. (2020). *მოსახლეობა მევახშეობის პირისპირ მტაცებლური დაკრედიტება და მისი სოციალური შედეგები.* https://bit.ly/39VIU1O

15. ჯანიაშვილი, მ. (2019). *გამოსახლების სტანდარტები და საუკეთესო გამოცდილება.* https://bit.ly/2JNRDbP

16. ჯანიაშვილი, მერაბ. (2020). აზარტული ბიზნესი – ქართული ეკონომიკის პარაზიტი. „კავკასიური სახლის" ანალიტიკური პორტალი. https://bit.ly/3mWcsQF